

619
1967



Faint, illegible text, possibly a caption or description, located to the right of the central photograph.

ÉSZAK
№ 8 2830637 1967



სამუბლოს

ცის

გუზაგები

საბრძოლო ვარჯიშის დროს.

ფოტო ლ. კებრიაშვილსა

მსოფლიოს მრავალჯგის რეკორდსმენი, სპორტის ოსტატი ივანე შჩერბაკოვი თავისი მეორიათასე გადმოხტომის შემდეგ.



ეს ახალგაზრდები საბრძოლო და პოლიტიკური „მომზადების“ ფრიადოსნები არიან. ისინი შესანიშნავად ასრულებენ თვითმფრინავების სარეგლამენტო სამუშაოებს. ჩვენი მფრინავები მათ დიდად ემადლიერებიან. (მარცხნიდან) უფროსი მექანიკოსი ლეიტენანტი ა. სავრანსკი, ლეიტენანტ-ტექნიკოსი გ. კავთუაშვილი, რიგითი მექანიკოსი ვ. დუშკინი, სერჟანტი პ. გაბაილულინი.



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

გზოგ

№ 8 (369) აგვისტო, 1967 წ.

გამოცემის წელი 45-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიბერალური-სამხატვრო ჟურნალი



ქვეყნის მოსკოვის კოსკეუსზე

საქართველოს სსრ ხორციისა და რძის მრეწველობის სამინისტროს სის-ტემაში არის ქარხანა, რომლის ნაწარმს ბევრი ადამიანისთვის შეუნარჩუნებია სიცოცხლე, ბევრი დავრდომილი წამოუყენებია ფეხზე.

საიდან ხადაო, გაიკვირვებს ალბათ შკითხველი, რა შუაშია აქ ადამიანის ჯანმრთელობა ან სიცოცხლეო. საქმეც ეს არის, რომ ეს ქარხანა პირუტყვის დაკვლა-გადაშუშავების შედეგად დაგროვილი სხვადასხვა ჭირკვლების, აგრეთ-ვე სისხლის, ღვიძლის, ნადვების და სხვა ორგანოებისა და ქსოვილებისაგან აშაადებს მეტად საჭირო წამლებს, რომლებსაც ენდოკრინულ-ჰორმონალური პრეპარატები ეწოდება.

დღეისათვის მდებარეობს 50 დასახელების ასეთი პრეპარატია ცნობილი. თბილისის ორგანულ-თერაპევტული პრეპარატების ქარხანა აქედან აწარმოებს 17 სახეობის სამკურნალო მედიკამენტს.

ეს ქარხანა შეიქმნა დიდი სამამულო ომის დროს, 1944 წელს, შთავრების სტეციალური დადგენილების საფუძველზე და მაშინ კარგი სამსახური გაუწია როგორც მოსახლეობას, ასევე მოსბიტლებში მყოფ დაჭრილ საბჭოთა მებრძო-ლებს. ამჟამად ამ ქარხნის პროდუქცია საბჭოთა კავშირის 150 ქალაქში და საზღვარგარეთაც იგზავნება.

მაინც რას წარმოადგენენ ეს პრეპარატები და რა მნიშვნელობა აქვთ ადამიანის ჯანმრთელობის დაცვისათვის?

ავადმყოფი ადამიანის მკურნალობა ცხოველთა ორგანოებითა და ქსო-ვილებით უძველეს დროიდან არის ცნობილი. ასე ეგონათ, გულს მხოლოდ გუ-ლი არჩენს, თირკმელს თირკმელი, ღვიძლს ღვიძლი და ა. შ. ძველი დროის მწიგნობართა მერობით მკურნალობის ასეთი ბერძნული ხალხში დიდად პოპულა-რული იყო. რა თქმა უნდა, ზოგი რამ აქ დაფუძნებული იყო ცრუმორწმუნე-ობაზეც, მაგრამ მთლიანობაში ადებული ეს წესი მრავალ სასარგებლო რჩევა-საც შეიცავდა.

ახლაც ვხვდებით შემთხვევებს, როცა სასაკლავო თუ ხორციის კომბინა-ტის ძველი მუშები სისხლის დენის შესაწყვეტად ჭრილობაზე ახლად დაკლულ პირუტყვის თირკმელზედა ჭირკვალს დაიდებენ ზოლზე.

პირუტყვის ორგანოებით მკურნალობას ანუ ორგანო-თერაპიას, როგორც მეცნიერების ახალ დარგს, დასაბამი მისცა ცნობილმა ექიმმა-ფიზიოლოგმა ბრაუნ-სეკარმა, რომელმაც პირველად მიიღო და სამკურნალოდ გამოიყენა

ჰიპოტალამის სამკურნალო.

ენდოკრინულ-ჰორმონალური პრეპარატი. ამით კი ხაზოლოდ გაიმარჯვა დი-დი რუსი ფიზიოლოგის ი. პავლოვის აზრმა ფიზიოლოგიისა და მედიცინის ურთიერთკავშირის აუცილებლობის თაობაზე. პრაქტიკულმა მედიცინამ პირ-ველად თავის ისტორიაში მიიღო ისეთი პრეპარატები, რომლებსაც აქვთ ცოცხ-ხალ ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლასა და სხვა სასიცოცხლო პროცესებზე აქტიური ზემოქმედების საოცარი უნარი.

ვინ იცის რამდენ ავადმყოფს მოუტანა შეება ამ ქარხანაში დაშაადებულ-მა სხვა ძვირფასმა წამლებმა: ხოლმეზიმმა, აცედინ-პეპსინმა, თხევადმა ჰემა-ტოგენმა, პიტუიტრინმა, მიოლმა, ოვარინმა და სხვა პრეპარატებმა, რომლე-ბსაც გულის, კუჭის, ღვიძლის, დაბალი სიმწვავეობისა და სხვა დაავადებთა სამკურნალოდ იყენებენ.

ამ პრეპარატებზე მოთხოვნილება წლითწლით იზრდება, იზრდება მა-თი წარმოებისათვის ტექნიკის სიახლეთა დაწერვის აუცილებლობა, უმჯობეს-დება ტექნოლოგია. ყველაფერი ეს კი უკვე ძნელია მოათავსო ქარხნის ძველ კორპუსებში, რომლებიც თითქმის ოცდასამი წლის წინათ არის აგებული.

სწორედ ამ მიზეზებმა განაპირობეს ის, რომ ამჟამად 28 კომისიის რა-იონის ახალ მანგისტრალზე — მოსკოვის პროსპექტზე წამოიშობა ორგანო-თერაპევტული ქარხნის ახალი მრავალსართულიანი კორპუსი, რომლის მშენე-ბლობის დაბთავრება მიმდინარე წელს არის გათვალისწინებული.

ამ კეთილმოწყობილ კორპუსში თავს მოიყრის ქარხნის ყველა საამქრო, სა-დაც ნედლეულის სათანადო გადამუშავებისა და პრეპარატების დაშაადების ყველა ზომობატეადი პროცესი მაქსიმალურად ავტომატიზირებული და მექა-ნიზირებული იქნება. ამის შემდეგ ქარხანა არა მარტო ერთიორად გაზრდის

ამბულების გასინჯვა სინათლეზე.



პრეპარატების გამოშვებას, არამედ ახალი, დეფიციტური წამლების სერიულ დაშაადებასაც დაიწყებს.

ახლა აქ, ექსპერიმენტულ საამქროსა და ლაბორატორიის უკვე მიმდინა-რეობს მუშაობა რამდენიმე ახალი სამკურნალო პრეპარატის ასათვისებლად. ამ ქამლებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ორი — ანდაკალინი და ადი-პაზინი. ვისაც სისხლის მაღალი წნევა აწუხებს, ანდაკალინი მისთვის უტბარი წამალია, ხოლო ვინც ზედმეტი სიმსუქნისაგან იტანჯება, აღიპაზინი მისთვის ზედამოჭრილი სამკურნალო საშუალებაა. დღემდე ეს წამლები დეფიციტურად ითვლება, ისინი უცხოეთიდან შემოგვაქვს. მომავალი წლიდან კი თბილისის ორგანო-თერაპევტული ქარხანა მთელს საბჭოთა კავშირში პირველად დაიწ-ყებს ამ წამლების გამოშვებას.

მომავალი წლიდან დაიწყება აქ ღვიძლის სამკურნალო ძლიერი პრეპარატე-ბის: ალოხოლისა და ხოლოგონის სერიული გამოშვებაც. დაშაადდება აგრეთვე კუჭ-ნაწლავის დაავადების სამკურნალო ეფექტური პრეპარატი — პეპსინი. ქარ-ხანა წელიწადში დაშაადებს 5 ტონაზე მეტ პეპსინს, რომლის ნაწილი საექ-სპორტოდ საზღვარგარეთაც გაიგზავნება. გაივლის რამდენიმე თვე და თბი-ლისური „სიცოცხლის ელექსირები“ — ენდოკრინულ-ჰორმონალური პრე-პარატები კიდევ უფრო მეტ ადამიანებს მოუტანენ შევებას, ალუდგენენ ჯანმრ-თელობას და სიცოცხლის სისარულს.

ბ. დუჩიძე,

საქართველოს სსრ ხორციისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ვეტსანიტა-რული ინსპექციის უფროსი. ვეტერინარიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ნ. რამიშვილი,

სამინისტროს სასწავლო მეთოდური კა-ბინეტის გამგე, ინჟინერ-ტექნოლოგი.



ახალგაზრდებო, ვაყებო და ქალებო! თქვენ მოგმართავს კაცი, რომელიც 80 წლისა გახდა და რომელსაც თავისი სიცოცხლის გრძელ მანძილზე ბევრი რამ უნახავს და დიდი გამოცდილება მიუღია. მინდა ჩემი გამოცდილება გაგიზიაროთ.

გამიგონია: ახალგაზრდას უთქვამს: ნეტა ვიცოდეთ მოხუცს უპასუხნია: ნეტა შემეძლოსო! ამ სიტყვებით დიდი სიბრძნეა გამოხატული, მართლაც, ახალგაზრდებს ცოდნა აკლიათ, მოხუცებს — ძალ-ღონე, რომ შეძენილი ცოდნა სათანადოდ გამოიყენონ. ცხოვრება კი ისეთია, რომ ცოდნის გარეშე ვერას გაპხნები, განსაკუთრებით ჩვენს ურთულეს დროში. ამიტომ

პირველი, რაც უნდა გირჩიოთ, ეს არის ცოდნის შეძენა გამსაკუთრებით იმ დარგში, რომელიც თქვენ გიყვართ, რომელიც თვითვე თქვენგანს მოსწონს, რომელიც გეადვილებათ. ვთქვათ, მათემატიკაში გაქვთ ნიჭი. მიჰყევით და სპეციალობად მათემატიკა აირჩიეთ; თუ ფიზიკა გეადვილებათ ან მისკენ მიგიწევთ გული, ნუ დაიხევთ უკან, მიჰყევით გულის წადილს და ყოველგვარად ეცადეთ ფიზიკის დაუფლებას; თუ ისტორია გიყვართ და ადვილად იხსომებთ თარიღებს, ისტორიულ პირთა ნამოქმედარს და, საზოგადოდ, ისტორიულ მოვლენებს, არაფერი

* ეს სიტყვა ჩვენმა მსცოვანმა მეცნიერმა წარმოთქვა თავისი აუბილეს დღეებში, ახალგაზრდობასთან ერთ-ერთი შეხვედრის დროს. რედ.

უნდა დაგიდგეს წინ, რომ თქვენ თქვენი საყვარელი საგნის ყოველმხრივ შესწავლას მოჰკიდოთ ხელი.

მეორე, რაც უნდა გირჩიოთ, ეს არის მუდმივი შრომა. როგორი ნიჭიც უნდა გქონდეთ, უშრომლად ვერაფერს გააკეთებთ. საჭიროა მუდმივი, შეუწყვეტელი და შეუწყვეტელი მუშაობა, რომ თქვენი ნიჭი სათანადოდ გაიფურჩქნოს და საჭირო საქმე გააკეთოს.

უნიჭოდ, რა თქმა უნდა, ვერაფერ მნიშვნელოვანს შექმნის კაცი, მაგრამ, თუ ნიჭი არ იქნა მოვლილი, თუ იგი შრომით არ იქნა გაბრწყინებული, ისე დაიღუპება, რომ ვერავითარ კვალს ვერ დასტოვებს. ამას გარდა, რაც უნდა ცოდნა შეიძინოთ თქვენ. მიერ არჩეულ დარგში, უნდა, გახსოვდეთ, რომ ჯერ კიდევ ბევრი გაკლიათ; არ უნდა დაკმაყოფილდეთ იმით, რაც იცით და უნდა ეცადოთ კიდევ უფრო დაწინაურებას. არ უნდა ჩამორჩეთ თანამედროვე დონეს მეცნიერებისა და ტექნიკისას, რომელშიც თქვენ მუშაობთ.

ადვილია თქმა, ცოდნა უნდა შეიძინო, მაგრამ ამას თავდაღებული შრომა უნდა, შრომა დაძაბული და ხალისიანი, შრომა გულისა და სულის გამახარებელი, შრომა ადამიანობის ნიშანი და სამკაული.

მესამე, რაც უნდა გირჩიოთ, ეს არის მიზანდასახელება, რომელიც უნდა გამოძრავებდეთ მთელს თქვენს ყოფა-ქცევაში, მთელს თქვენს საქმიანობაში.

ცოდნის შეძენა კარგია, რადგანაც, როგორც დავით გურამიშვილმა თქვა, „თუ კაცსა

საქართველოს საზოგადოებრივი საბჭოთაო მოძრაობის

ცოდნა არა აქვს, ვასტანჯავს წუთისოფელი“, მაგრამ რას უნდა ემსახურებოდეს თქვენი ცოდნა? იგი უნდა მოჰხმარდეს ხალხს, ფართო მასებს, ჩვენი საბჭოთა ქვეყნის მშრომელებს. ხალხის სამსახურის გარეშე ცოდნა უქმია და უნაყოფო. მხოლოდ ხალხისთვის სარგებლობის მოტანის სურვილი აძლევს ცოდნას აზრსა და სიმტკიცეს.

თქვენ უნდა გახსოვდეთ, ახალგაზრდებო, რომ ძველი თაობის წარმომადგენლები — „დღეს არა, ხვალე მოგვკვდებით, სოფელი ასრე მქნელია“ და ჩვენს შემდეგ თქვენ უნდა ჩასდგეთ ხალხის სამსახურში. ჩვენ თქვენზე ვამყარებთ ჩვენს იმედებს ჩვენი ქვეყნის მოვლისა, შენახვისა და შემდგომი წინსვლისათვის. მხოლოდ ღირსეულ პირთ შეუძლიათ ქვეყანას წაუძღვენ სწორი გზით და

შეუნარჩუნონ ჩვენს ერს თავისი ადგილი მსოფლიოში.

ახალგაზრდებო, თქვენი ბედი და ჩვენი ქვეყნის მომავალი თქვენზეა დამოკიდებული. თუ მოინდომებთ, შორს გაიგდებთ თქვენს სახელს და ჩვენს ქვეყანასაც ასახელებთ ხალხის სიყვარულით და ხალხის სამსახურით.

გამოცდილებით ვიცი, რომ ცოდნის შეძენა უფრო ახალგაზრდობაშია ადვილი. ამიტომ უნდა ვერიდოთ დროს ტყუილ-უბრალოდ დაკარგვას, უღარდებლობას და ფუჭსაგატობას. უნდა ეცადოთ ცოდნის შეძენას და გალრამავებას, რომ ღირსეულად შეხვდეთ მომავალს. ყველა თქვენგანს შეუძლია დიდი საქმე გააკეთოს და ვალი მოიხადოს ქვეყნის წინაშე.

თქვენი გამარჯვებისა, ახალგაზრდებო! აბა თქვენ იცით!

ქათავან მიჩაძე

კატარა ღრუბლის ნაჭერი

ნეტავი ხაით მიდიხარ, კატარა ღრუბლის ნაჭერო?! საკუთრივ ჩემთვის მიდიხარ, ფიქრები რომ შევაჩერო.

შეჩერდი! — თორემ თუ წახვალ, ფიქრებს დაეტყო სულსწრაფვა — დაგვიდევნები უთუოდ ატირებული ბავშვით — ზევიდან ერთად ვუყუროთ ზღვა როგორ ღელავს გაშლილი.

ვნახოთ დიდილია ტალღებში, მზე როგორ ჩაიბირება და ცარსკვლავები ცას ზნელში, ატყინებთა მძივებად.

ზღაბრულ სამყაროს სადარი ვნახოთ სამშობლოს შთაბარი, ლამაზი არის ზაფხული, მწვანე წალკოტში ჩაფლული.

რას შესურჩულდეს ცას ასე, ცერზე შემდგარი ჭადარი, ლამაზ ფერებით აღსავსე, — ცის დასაწყისი ხად არის, ან დასასრული ხად არის.

გზას, ვარსკვლავებში რომ ადის, ჩვენ გავყვით ღამენათევი —

შენ იყავ ჩემი ხომალდი და მე კი შენი მმართველი.

მთვარი აგვიღებს ალღობა, — გულში რომ არ გვაქვს ცდუნება — ვარსკვლავებს, ღმინის ამყოლსა, მოგვიპატუებს სტუმრებად;

უჩემოდ ნურსად ნუ წახვალ, კატარა ღრუბლის ნაჭერო?! ფიქრებს დაეტყო სულსწრაფვა, არ ძალშიძის რით შევაჩერო.

შენ იყავ ჩემი ხომალდი და მე კი შენი მმართველი, გზას ვარსკვლავებში, რომ ადის ჩვენ გავყვით ღამენათევი.

საუკუნეებს გადაარჩენია

დაუნგრევიათ ეს ძველი ციხე და აგურ-აგურ გაუტაცნიათ, თითქოს და ხავსით ჭრილობებს იხვევს, ბევრი უიღბლო დროის მაცნეა. მოუტანია მაინც ჩვენამდე, ჩვენთა წინაპართ გმირობის ნაშთი — ამ ნანგრევებში მონახავ რამდენს, უკაცურობის და მტრობის აჩრდილს.

გაუძარცვიათ, დაურბევიათ ალა-მაჰმად-ხანს, ჩინგისიანებს და მაინც დგანან, მაინც ბევრი აქვთ, მზის ბრწყინვალეობა და სიდიადე.

უგუნურებო, თქვენ რით სჯობიხართ, გადამთიელთა ბრბოებს, ურდოებს, თქვენც აქ მოსულხართ, თქვენც აქ ყოფილხართ შესაბილწავად, გასაქურდავად — და თავმოწონედ მიგაფლანბნიათ, ძველ ნანგრევებზე თქვენი გვარები — არ დაგივიწყოთ ხალხმა აროდეს ეს თავმოწონე ვიგინდარები!

აბა, თუ ნახავთ სადმე მინაწერს, ეს ციხე-ბურჯი აშენდა ვისით, აბა, ვინ იცის თუ სად ვინა წევს, თავდადებულნი, დამცველნი მისი.

საუკუნეებს გადაარჩენია, აქ წინაპართა ნაამაგარი. არც კი ამაყობთ, რომ ეს თქვენია, ეს სიდიადე მძლე და მაღალი.

ჩხანით, აფუჭებთ, ბილწავთ და ანგრევთ, რაც გადაურჩა მტრების შერისხვას. ნუ თუ თქვენ ამას აკეთებთ განგებ, ნუ თუ გარნახობთ ამას თქვენი ხმა! არც მტერი არ ხართ, არც მუხანათი, რად უნგრევთ წარსულს თქვენს ზღაბრულ მხარეს? ვინც ქვეყნის წარსულს არა სცემს პატივს, ის დღევანდელსაც ვერ შეიყვარებს.

ვირსლი და მწუხრი

როგორ დაკვარავო იმედი ხვალის, როგორ არ ავევო ოცნებებს ჩემსას, რად გავიტეხო მუ შუბლის ძვალი და მოვეყვო ჩივილს და მოვეყვო კვნესას. მე დღევანდელ დღეს ვემბრობი მისთვის, რომ ხვალინდელი აენტოს უფრო, აბა სიცოცხლე მჭირდება რისთვის, აბა ცხოვრებას რაღაზედ ვუხმობი საწუთროსაგან რა წაუღია ვინც მომყოლია წუხილს და კვნესას,

ცოცხალ კაცისთვის ხომ აუგია, დამწუხრება და ჩივილი დღესაც. გაუთავებელ კვნესას და წუხილს, მოაქვს სიცოცხლის ჭირხლი და მწუხრი.

თავისებური ნატურმოკტი

ხავრდის სუფრა — შავი ფერის, ლარნაკი თეთრი და ლილისფერი ყვავილები მიმოფანტული, ღია ფანჯრიდან გაზაფხულის სხივები მკვეთრი და მიგდებული ნაცრისფერი ერთი ფანდური. აქ კაცი არ ჩანს, მაგრამ კაცის ხელი ტრიალებს, ფანდურის ლარებს დაჩნევია კაცის ხელები და ამ უჩუქმარ ჭრილობებსა თუ ნაიარებს, ახალისებენ სივრცისფერი ცისარტყელები.



„სურათი ვეფხვის ხედავს“

კაილა კორინთელი

„ზარია ვოსტოკას“, „ვეჩერნი ტბილისის“ და „ლიტერატურნაია გრუზიას“ მკითხველს შეუძლებელია არ ახსოვდეთ ცოცხლად და საინტერესოდ დაწერილი ნარკვევები: ჩვენს ადამიანებზე, ჩვენს ყოფა-

ზე და კულტურაზე, ჩვენს მწელობაზე, ნარკვევები, რომლებიც სოფიო გველესიანის ხელმოწერით იბეჭდება; სოფიო ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია ჩვენი ჟურნალისტიკისა; სულ ახალგაზრდა, გამოუცდელი მოვიდა ის რედაქციაში და დიდი მომლოდინებით, ენერგიით მოკიდა ხელი ამ რთულ, მოუსვენარ პროფესიას; ახლა კი ჩვენ ვიცნობთ სოფიოს — გაწაფულ, გამოცდილ ჟურნალისტ ქალს; იგი პირუთენელია, მომთხონია მუშაობაში და, ამავე დროს, დიდი ტაქტის მქონე ადამიანი. სოფიო გველესიანს ახასიათებს უძვირფასესი თვისება: იგი მუდამ ცდილობს გადასცეს თავისი ცოდნა, თავისი გამოცდილება მას, ვინც საჭიროებს ამას.

„ზარია ვოსტოკას“, „ვეჩერნი ტბილისის“ და „ლიტერატურნაია გრუზიას“ მკითხველს შეუძლებელია არ ახსოვდეთ ცოცხლად და საინტერესოდ დაწერილი ნარკვევები: ჩვენს ადამიანებზე, ჩვენს ყოფა-

გველესიანის წიგნის გმირები — სხვადასხვა პროფესიის ადამიანები არიან. ჩვენ აქ ვხვდებით მწერლებსა და მსახიობებს, სხვადასხვა დარგის მეცნიერებსა და მასწავლებლებს. დიდი სიყვარულით გვიხატავს ავტორი იმ ადამიანებსაც, რომლებიც გაიცნო გრიბოედოვის ხელნაწერის ძეგლის დროს; სწორედ ამ ნარკვევებში მისცა სათაური მთელ წიგნს, და არა მარტო სათაური, არამედ ავტორისგან დამოუკიდებლად განსაზღვრა კრებულის, ასე ვთქვათ. სული და მიმართულება.

მიუხედავად იმისა, რომ მიზანი არ არის მიღწეული და გრიბოედოვის ავტორაფის ასავალ-დასავალი ვერ იქნა მიგნებული, ჟურნალისტიკა მოაგროვა მდიდარი ფაქტური მასალა, გაიცნო ბევრი ღირსშესანიშნავი პიროვნება და საინტერესოდ, ცოცხლად მოგვითხრო მათზე. ამიტომაც ამ ნარკვევებში გამოხატულია ჰოვია საკავშირო პრესაში.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ სოფიო გველესიანის ნარკვევები კარგად აცნობენ მკითხველს იმ სამყაროს, რომელზედაც წერს ჟურნალისტიკა ქალი. ასეა დაწერილი, მაგალითად, ნარკვევები „მათემატიკოსის ძიება“, „ფიზიკოსის გუშინდელი, დღევანდელი და ხვალინდელი დღე“, „მეცნიერის გმირობა“, ავტორი გარკვეულ წარმოდგენას უქმნის მკითხველს იმ ღვაწლზე, რომელიც მეცნიერებაში შეიტანეს ჩვენმა სახელოვანმა ადამიანებმა — ვიქტორ კუპრაძემ, ივანე ბერიტაშვილმა, ელენფერ ანდრონიკაშვილმა.

ინტერესით იკითხება ნარკვევები: „ვაჟა-ფშაველა“, „საიათნოვა“, „ბაოლო იაშვილის სამშობლოში“, „პირველი ცხრა წელიწადი“, „გიორგი ლეონიძე“, „სესილია თაყაიშვილი“ და „კონსტანტინე ლორთქიფანიძე“.

ყოველი ნარკვევი და რეპორტაჟი სოფიო გველესიანის წიგნში გამსჭვალულია მისთვის დამახასიათებელი გულწრფელობით და დიდი სიყვარულით იმ ადამიანებისადმი, რომლებზედაც მოგვიფიქრობს.

ს. გველესიანის ერთ-ერთი ნარკვევი თავდება სიტყვებით: „ძიება გრძელდება“... ვფიქრობთ, ჟურნალისტი ქალი, მისთვის ჩვეული ენერგიით და მიზანსწრაფვით გააგრძელებს დიდმნიშვნელოვანი, ჩვენი თანამედროვეობისთვის დამახასიათებელი, მოვლენების და არაჩვეულებრივი პიროვნებების ძიებას და გააცნობს მკითხველს საინტერესო ადამიანებს — ჩვენი მჩქეფარე ეპოქის გმირებს.



შემოდგომის პეიზაჟი.

ერთული სურათისათვის.



ოლიმპიადისათვის მზადება (ფრაგმენტი).

ბიოგრაფი თოთიხაძე



ვენეცია.

სამამულო ომი დასასრულს უახლოვდებოდა. პიონერთა სასახ-
ლემ იმ ხანებში მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა მოაწყო. აქ
მიიქცია პირველად ყურადღება გოგი თოთიბაძემ; 1947 წელს იგი
სამხატვრო აკადემიაში ჩაირიცხა. პირველი კურსიდანვე რეპინის
სახელობის სტიპენდიანტი იყო.

1958 წელს მან დიპლომების დაცვაზე გამოიტანა თავისი სურა-
თი „სამგორის ახალ მიწაზე“. ახალგაზრდა ავტორი თავისებურად
აცოცხლებდა დიდ რეალისტთა ტრადიციას და ჩვენი ცხოვრების
მნიშვნელოვან ამბავს ასახავდა — ეს იყო თემა ზევსურთა დასახ-
ლებისა სამგორის ველზე. ნაწარმოებში ყურადღებას იქცევდა პერ-
სონაჟთა ღრმა, ფართო და მეტყველი ფსიქოლოგიურ-პლასტიკუ-
რი დახასიათება, კოლორიტის უღერადობა; ეს იყო ფართო სოცია-
ლური ხასიათის მქონე ტილო.

გ. თოთიბაძე კარგად ფლობს ნახატს და საკომპოზიციო კანო-
ნებს, იყენებს მათ შემოქმედებითად. მისი ფერწერა მთლიანია და
ასასახავი სინამდვილის ძალას, მის სიმშვენიერესა და მომხიბვლე-
ლობას ემყარება.

მხატვარს აღწევს არა მარტო ფერწერის პრობლემატიკა. იგი
ესტევე წარმატებით მუშაობს გაზეთისა თუ წიგნის გრაფიკის დარ-
გშიც.

გ. თოთიბაძის შემოქმედება უანრობრივადაც მრავალფეროვანია:
ჰორტრეტები და პეიზაჟი, სოციალურად განვითარებული უანრული
სურათი. ისტორიული თემა, წიგნის ილუსტრაცია, ჩანახატი-ნარკვე-
ვი სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობისას — აი ის წრე, რომელსაც
მოიცავს მხატვრის შემოქმედება.

მხატვრის შთამაგონებელი — ჩვენი საბჭოთა სინამდვილეა. თო-
თიბაძე ეპიკური სიღვის მხატვარია და ამის შესატყვისად მისი შე-
მოქმედებაც ეპიკურ ტონალობაში უღერს, იგი მოგვიოხრობს, თავი-
სი თანამედროვის დიდად წარმბაც და საინტერესო ცხოვრებაზე.

შალვა კვასცხაძე

ხელოვნების დამს. მოღვაწე, ხელო-
ნებათმცოდნეობის კანდიდატი.

სტუდენტები.

ბიოგრაფიული თოთიბაძე





კობა გურული.

ვწული ხანე ხელოვნებისა, ერთ დროს რატომღაც უსამართლოდ მივიწყებული, ამჟამად დიდ აყვავებას განიცდის.

იყო დრო, როცა ფიჭობდნენ, ჭედურობა დეკორატიულობასა და გამოყენებითი ხელოვნების ზღვარს ცერ გასცდებო. მაგრამ ჩვენმა შესანიშნავმა ოსტატებმა — კობა გურულმა, ირაკლი ოჩიაურმა, დიმიტრი ყიფშიძემ, გურამ გაბაშვილმა ისეთი ნაწარმოებები შექმნეს, რომ თვალნათლივ დაგვარწმუნეს რამდენად ამოუწურავია ჭედურობის გამომსახველობითი ხერხები, რამდენად დიდია ემოცია, რომელიც ხელოვანს შეუძლია ამ ერთგვაროვან მასალაში ჩააქსოვოს.

კობა გურულმა ქანდაკების ფაქულტეტი დაამთავრა, მაგრამ თავიდანვე იგრძნო, რომ, მისი მოწოდება ჭედური ხელოვნება იყო. ამან ახალგაზრდა ხელოვანს თავისებური სარგებლობა მოუტანა, მის ნამუშევრებში ყოველთვის იგრძნობა ქანდაკების ელემენტები, რელიეფურობა, მკაცრი კომპოზიცია.

ახალგაზრდა შემოქმედის ხელოვნება ღრმად ეროვნულია, იგი ჩვენი ხალხის ბუნებასა და ტრადიციებში, ჩვენი ეროვნული ხელოვნების წიაღში იღებს სათავეს, ამასთან მისი გამომსახველობითი ხერხები თუ ფორმები უაღრესად თანამედროვეა. კობა გურულის „შემობრძანდა თამარ ქალი“, უაღრესად ტრადიციულად არის გადაწყვეტილი, აქ იგრძნობა ქართული ფრესკაც თუ მწიგნობრული თავსამკაულებიც, ამასთან, ნაწარმოები მთლიანად თანამედროვეა; მისი მეორე ნაწარმოები „აკვანთან“ კი ერთის შეხედვით თითქოს ძალზე მოდერნისტულ იერს ატარებს, თუმცა თვითონ ყრმასთან აკვანზე გადაწოდებული ქალის უტყირებული, მაგრამ ზედმიწევნით ნაცნობი მოძრაობა და სურათის დე-

დეკორატიულობა, არამედ სიღრმე, ფსიქოლოგიური ნიუანსები, რაც ასე უზვადაა ჩაქსოვილი ლითონში.

კომპოზიციის და თემის უაღრესად თანამედროვე ხერხებით გადაწყვეტით მეტად საყურადღებოა „ზღვის ნადავლი“, „ზღვა და დელფინი“, „ლაღისი უღაბნოში“. მეტად საინტერესო და შთამბეჭდავი ნაწარმოებია „რუსთაველის პორტრეტი“.

კობა გურულის ნაწარმოებებში ხშირად ვხვდებით იუმორს („მეწურენ“), ალეგორიებს („მიეცვლა საჭურჭლე“). მის ალეგორიებს არა მარტო პოეტური, არამედ სოციალური თვალთახედვაც უდევს საფუძვლად. ახალგაზრდა ხელოვანი თემას ხშირად სიმბოლურად წყვეტს, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხანდახან მისი სიმბოლოები ცოტა გულუბრყვილო ხასიათისაა.

კობა გურული ამჟამად, ირაკლი ოჩიაურთან ერთად მუშაობს თბოშავალი „რუსთაველის“ გაფორმებაზე. მზადაა ესკიზები, ავტორებმა უკვე იპოვეს და დაზუსტეს თემათა საბოლოო ვარიანტები. გემს დაამშვენებს ჭედური ნამუშევრებით დამშვენებული ვერანდა „ივრია“, მუსიკალური ხალხი „სამაია“, რესტორანი „საღისი“, კაფეები „ტარიელი“ და „ოქროს საწმისი“. ამ სახელებით უკვე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ავტორთა ჩანაფიქრის ძირითადი ლეიტმოტივები.

მიუხედავად ასეთი ინტენსიური მუშაობისა, კობა გურული ცდილობს არც ერთ ნაწარმოებში არ „გაიმეოროს თავისი თავი“; რაც დრო გადის, მისი ნაწარმოებები უფრო დიდ სიღრმეს და ფსიქოლოგიურ სიმძიმეს იძენენ. ეს კი მომავალ დიდ მარჯვებათა უტყუარი საწინდარია.

გურამ შანგიძე

კენკაზუნი ლითონი

1962 წელს მოსკოვში, პუშკინის სახელობის მუზეუმში მოწყობილ საკავშირო გამოფენაზე ერთმა ნამუშევარმა მიიპყრო საყოველთაო ყურადღება; ეს იყო ლითონში გადატანილი ლირიკული კომპოზიცია, თანამედროვე ქართული ჭედური ხელოვნების ერთ-ერთი პირველი ნიმუში „მწიფობისთვე“. ნაწარმოები არამც თუ დედაქალაქის მნახველებსათვის, არამედ თბილისელთათვისაც სრულიად უცნობ მოქანდაკეს კობა გურულს ეკუთვნოდა. სხენებული ნაწარმოები მასინვე შეიძინა პუშკინის მუზეუმმა.

ეს იყო პირველი დიდი და სერიოზული გამარჯვება ახალგაზრდა მოქანდაკისა. ამის შემდეგ სულ რამდენიმე წელმა განვლო, მაგრამ ამ დროში კობა გურულმა ბევრი რამის გაკეთება მოასწრო და ბევრჯერ განიცადა შემოქმედებითი წარმატების სიხარული. სადაც კი არ გამოფინა მან თავისი ნაწარმოებები — თბილისსა თუ ლიტვაში, მოსკოვში, უფროსად „იუნოსკის“ რედაქციაში თუ ლიტერატორების სახლში, ყველგან საყოველთაო მოწონება დაიმსახურა; ამჟამად კობა გურულის საუკეთესო ნაწარმოებები — „მარანი“, „შენ ხარ ვენახი“, „ესრულა ბერმა პაპამ“ მონრეალში, ხოლო „რუსთაველის პორტრეტი“, „მიეცვლა საჭურჭლე“, „ნიკალას შესანდობარი“, „ურემი“, „გულდასტვირი“ და „მკა“ პარიზში, მსოფლიო ახალგაზრდობის გამოფენაზეა გაგზავნილი.

ჭედური ხელოვნება საქართველოში უძველეს საუკუნეებში იღებს სათავეს; ეს ჭეშმარიტად ერო-

კორატიული ელემენტები გვარწმუნებენ რამდენად ეროვნულია ეს ნაწარმოები.

ლითონი მკაცრი მასალაა და თითქოს იგი მიგვანიშნებს კიდევ მკაცრი სიუჟეტებისკენ. კობა გურულის შემოქმედებაში კი ძირითადად ლირიკული ხაზი სჭარბობს. მისი კომპოზიციები უმთავრესად ნაზია და ნატიფი, ნათელი და პოეტური. „ამღერებული ავთანდილი“, რომელიც თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრს ამშვენებს, მიუხედავად თავისი გრანდიოზული ზომის, რაც ასე იშვიათია ჭედურ ხელოვნებაში, ძალზე ლირიკულია და პოეტური. კობა გურულის ნამუშევრები რომ მხოლოდ თავისი კოლორიტულობით იპყრობდნენ ყურადღებას, მაშინ ძალიან გაგვიჭირდებოდა ლაპარაკი ახალგაზრდა შემოქმედის დიდ ხელოვნებაზე. კობა გურულის ნაწარმოებებს არც ფსიქოლოგიური სიღრმე აკლია და არც ფილოსოფიურობა, რაც ასე გვიტაცებს და გვიპყრობს მის „ავტობორტრეტში“. ჩემი აზრით, ეს ნაწარმოები შემოქმედის ყველაზე დიდი გამარჯვებაა. აქ გვიხილავს არა მარტო კომპოზიცია ან ჭედურობისათვის დამახასიათებელი

მასპინძელი.



მაღლდება სოფლის მშრომელთა ზრგადსაგანმანათლებლო და კულტურულ-ტექნიკური დონე. ხდება ქალაქსა და სოფელს შორის არსებით განსხვავებათა თანდათანობით წაშლა. იცვლება სოფლის სახე. საბჭოთა გლეხობა ეუფლება მოწინავე ტექნიკას, ზრდის შრომის ნაყოფიერებას, ამინის უოფაცხოვრებისა და სულიერი ცხოვრების უფრო ხელშეწყობ პირობებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებიდან „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი“.



ნატანებში ფოსტა მოვიდა.



ასეთი პლანტაციები ნატანების კოლმეურნეობას 500 ჰექტარზე აქვს გაშენებული.

ფოტო
ბ. დამპაძისა და
ი. დავითაშვილისა

ნატანების ბიბლიოთეკას 12 ათასზე მეტი წიგნი აქვს. ბიბლიოთეკა მუდამ ხავსუა მკითხველებით.



ნატანების კოლმეურნეობას 400 ჰექტარი ციტრუსების პლანტაცია აქვს. ციტრუსების უეწყველა.





წველა ებენი ზოციალისტური შრო-
მის გზიერები არიან.



ნაცვანები უზოუოზს, სვანოზს, ისვანოზს



შოწინავე მეჩაიე სვეტლანა ნიკო-
ლაიშვილი. რაკლმა, რომელსაც
სვეტლანა ხელმძღვანელობს, პირობა
დასდო საიუბილეო წელს მოკრიფოს
20 ტონა ჩაის ფოთოლი.


კოლმეურნეობის თავმჯდომარე გი-
ვი წითლიძე კინომოყვარულიც გახ-
ლავთ. მისმა ერთმა ფილმმა კინომო-
ყვარულთა საქაფშირო ფესტივალზე
ჩილდო დაიმსახურა.



შოწინავე მეჩაიე ლამარა პერტია—
მან პირობა დასდო საიუბილეო წელს
მოკრიფოს 7 ტონა ჩაის ხარისხოვანი
ფოთოლი.



სოლომონ გობრონიძის ოჯახი ჩაის
ხაკრიფად მიეზურება.



ბუჩაბი ბოზაბილი

მთხრობა ტყე და ქალაქი

მთხრობა

არ მეგონა, თუ შემოდგომაზე ფოთლები ასეთი ნაირფერები იყვნენ. ზემოდან რომ გადმოვხედეთ— კოჭრის ტყე ოქროსფერად ლივლივებდა, სწორედ იაე, როგორც მოველოდით ამ დროისთვის. მაგრამ ტყეში რომ შევედით, მაშინდა შევამჩნიე, რომ ფოთლებს სულ სხვა ფერი ჰქონდათ. ზოგი პანტისფერი იყო, ზოგი აყალომწისფერი, ზოგიც ალისფერი. მაგრამ არც ერთი მწვანე, ყველა სიფრთხანა იყო, გაცვეთილი და უღონო.

— აქი ოქროსფერიაო შემოდგომა? — მითხრა დალიმ და პასუხის მოლოდინში. სახეში შემომაცქერდა.

მიწა ფოთლებით იყო მოფენილი. რბილად შარიშურობდნენ ფეხქვეშ და ამიტომ სასიამოვნო იყო მათზე სიარული.

დალის კი მართლა ოქროსფერი თმა ჰქონდა და ხეებში ჩამოჭრილ მზის სხივებზე ისე საოცრად ბზინვდა, თვალს ვერ ვამორებდი. თვალები რაღაც გაურკვეველი ფერისა ჰქონდა — ხან გამჭვირვალე, ზღვისფერი, ხან მწვანე, მოკიადე. მზე რომ ჩახედავდა გუგებში, ისე საოცრად გაიფლავებდნენ, ისე უცნაურად, რომ თავებზე მეხეეოდა, რაღაცას მტკენდა შიგნით, სხეულში. იმიტომ ვიდებე ასე უსიტყვოდ, მუხაზე მიყრდნობილი და შევცქეროდი დალის.

— რას მიყურებ? რამე მითხარი!
მერე ცას დავაკვირდი, ტოტებში გაჩხირულს, კამკამას და გამჭვირვალეს. არც მიგრძენია, რომ ცას შევეყურებდი, მეგონა, ისევ დალის ჩავეცქეროდი თვალეებში.

ტყეს ნაპურალი ჰყოფდა შუაზე. გრძელი, ფართო. ხელისხელგადახვეულები დაფუყვეით ნაპურაღს. დალი დაიხარა და მიწიდან რაღაც ყვავილი ამოჩიჩქნა, გაწმინდა და ხელში მომაჩიჩა. მერე, იქვე, მერორეც იბოჯნა, საოცრად ნაზი და პატარა.

— ნახე, რა ლამაზია, თითქოს შიგნიდან ანათებს. რა სალი ფერებია. თუმცა შენ რას გაიგებ ყვავილებსას!

გულზე დამაბნია პატარა ყვავილი, მერე გამშორდა რამდენიმე ნაბიჯით და თავგადააწეულმა შემართვლიერა:

— როგორ გიხდებაა!
მერე მოჰყვა და კრიფა ეს ციციკნა ყვავილები, მეც თან დამათრევედა. მარჯვენა გამაშლევიანა და ხელისგულზე სათუთად მილაგებდა.

— რამხელა ხელები გაქვს და რა უხეში! ფრთხილად...

ქვემოთ მინდორი გადახნული იყო. ახლად გადაზობრუნებული ბელტები შავად ლაპლაპებდა მზეზე. უფრო შორს ტაბახმელა მოჩანდა; მარცხნივ, მთაზე, კოჭრის ციხე წამოყუდებულიყო, იქით, ნაცრისფერი ხრიოკი მთების თავზე კი, ღრუბლებით არშია-შემოვლებული ცისკიადური.

დალი წინ ამეტუნა. მერე ხელიც გამაშლევიანა,

სათითაოდ იღებდა ყვავილებს ერთი ხელიდან და მეორეზე აწყოზდა.

— ვუყვარვარ... არ ვუყვარვარ... ვუყვარვარ... არ ვუყვარვარ...

მე ზემოდან დავცქეროდი მის ბრიალა, ოქროსფერ თმებს.

— არ ვუყვარვარ, — შემომჩივლა და ამომხედა. ხელში უქანასქნელი ყვავილი ეჭირა.

გამელმბა. გულისკბიდან ამოვიძრე ყვავილი და მიეუთვალე:

— უყვარხარ.

გაციკნა და რძისფერი კბილები გამოაჩინა. როცა იცინოდა, თვალები ეჭუტებოდა და უეწოროვებოდა. ამ დროს საოცრად ლამაზი იყო. თანაც რაღაც ეშმაკური და ცხოველური გაუკიაფდებოდა ხოლმე გუგებში.

დალიმ ფრთხილად მოხვეტა ყვავილები ჩემი ხელისგულიდან და ერთ კონად შეკრა.

მე თვალს არ ვამორებდი მას.

— რაზე ფიქრობ ახლა? მითხარი, ვისზე ფიქრობ?

— შენზე.

— ჩემზე მაშინ იფიქრე, როცა შენთან არ ვიქნები. ახლა მითხარი რამე!

ისევ იცინოდა და ისევ ჭუტავდა თვალებს.

გადახნულ მინდორზე ცხერის ფარამ გადაიარა. თეთრად გადაიბენტა ნაკვეთი. მიწის სურნელმა დამკრა. ნელა დაფუყვეი ფერდომს და ფარაში გავერიე. ფეხებზე მედებოდა ცხერის ფაფუკი ბეწვი. დალი მალღობზე დარჩა, გაღიმებული მადვენებდა თვალს.

ასეთი ჩუმი, ასეთი საამო და ნათელი არაჰოდეს არ მახსოვდა ტყე. მთელი სხეული მზით და ნეტარებით მქონდა სავესე. ვგრძნობდი, რომ ეს იყო ჩემი უბედნიერესი და უღამაზესი წუთები.

— აქ მტოვებდი?! — ქოშინით წამომეწია დალი და მკლავზე ჩამომეკიდა. — გეკითხები, მტოვებდი? — გამიმეორა მან და გვერდიდან ამომხედა.

დალის რომ გავხედე, რაღაც უსიამო გრძობა შემომაწევა. გამახსენდა: გასულ შაბათს ასე მკლავგამოდებული მიჰყვებოდა იგი კობტა ყმაწვილს.

წვიმიანი დღე იყო და ინსტიტუტის ბაღში ამ წყვილის მეთი არავინ სეირნობდა. მე კლუბიდან მოგაკარი მათ თვალი.

— ვერ ვიტან იმ ბიჭს, სულ გააპრსული და გამოპრანჭული რომ დადის, ძალიან კმაყოფილი თავისი თავით, ერთი უნდა მოვეუნგროო ყებები... ისე, ტყუილად, არ იფიქრო, რამ ვევევიანობდე.

— სულელი ხარ! ჩხუბი გაკლია შენ? ჩემი ჯგუფელია, უბრალოდ, ამხანაგია. ლექციებს შორის „ფანჯარა“ გვექონდა და ჰაერზე გამოვედით. ისე ძალიან კი ჩაგრჩენია გულში...

გამელმბა. ჯერ იმიტომ; რომ დალი მიმიხვდა, მერეც კიდევ — გულზე მომეშვა და კარგ ხასიათზე დავდექი.

ნოტიო ფოთლებზე ფეხი გვისხლტებოდა. მე წინ მივიღოდი, ის კი უკან მომყვებოდა ზურგზე მოყრდნობილი და დაუსრულებლად ჰყვებოდა ამბებს.

— ვაიმე, ყვავილები... გამოპრანჭვი, მხოლოდ ფრთხილად, — ფოთლებითა და ფიჩხით ამოვსებული ღრატო ტკაცანითა და ხმაურით გადავიარეთ. და შარაზე გავედით.

ქალაქში რომ შემოვედით, უკვე დაბინდებული იყო. თბილი, სასიამოვნო საღამო იდგა.

დალი გვერდზე მომყვებოდა, მეჩურჩულებოდა გაუთავებლად. ჩვენი ინსტიტუტიდან გამოსული ახალგაზრდები ხმაურით ავსებდნენ ქუჩას. უცებ, თითქოს რაღაც გაახსენდა, დალი შედგა.

— ვაიმე, როგორ დავიფვიანე! ჩვენები გაგიფლებიან. ავტობუსით ჩავალ სახლამდე, რაღა დარჩა! შენ ფეხით წამოდი. მე ფანჯარასთან ვიდგები. არ გეწინოს!

მერე იქვე ჩამომდგარ წითელ ავტობუსში გაქრა. მე ფეხით დავუყვავი.

ღიმილით ვესალმებოდი ნაცნობებს და, საერთოდ, ყველა გამელულს, სავესე ქუჩას ვუღიმიოდი. ყველა ჩემსავით ბედნიერი და ამაღლებული მეჩვენებოდა. უცებ ჩემი სახელი მომესმა. მარჯვნივ გავიხედე, თალიანი სახლის წინ, ხის ძირში, წყვილი იდგა. ოდნავ მბუტუტავი შუქი ადგა თავზე ქალ-ვაჟს.

გარკვევით გავიფიქრე:

— არა გრცხენია? ინსტიტუტიდან დამემგზავრა, ხელს ხომ არ ვკრავდი, უსინდისო ხარ!

ის ხმა იყო; ფერმკრთალი შუქი ოქროსფერად უელვარებდა თმებს დალის. ვაჟისთვის აღარ შემიხედავს.

წამით გავშეშდი ადგილზე, ყურები დამეხშო, მერე ვიგრძენი, როგორ წამოვწითლდი, საშინლად შემრცხვა; ყველასი და ყველაფრის შემრცხვა. მეგონა, დალი კი არა, მე ვცქოუბოდი.

სასწრაფოდ გავშორდი იმ ადგილს.

ნელა, ტაბით დაფუყვეი ქვაფენილს. ანგარიშ-მიუცემლად მივაბიჯებდი. არაფერზე აღარ ვფიქრობდი.

ჩემი ოთახის კარები შევადე. მაშინდა გამახსენდა პატარა ყვავილები, ხელში რომ მეჭირა.

გულდაწყვეტილმა კუნჭულში მივყარე ისინი.

გომიში ლიონიკე ქ კაფიან ქარსთავის საქ-მუშაუმი



გ. ლეონიკე გრემში.

ძნელია შეურიგდო იმ აზრს, რომ ცოცხალთა შორის აღარ არის ჩვენი დიდი პოეტი და დაუღალავი საზოგადო მოღვაწე გიორგი ლეონიკე, რომლის ფიქრი და ოცნება მუდამ თავს დასტრიალებდა მისთვის ესოდენ საყვარელ საქართველოს აწმყოს და წარსულს. იგი როგორც ეროვნული მოღვაწე, თავყანსა სცემდა ჩვენი სახელგანთი წინაპრების ნათელ სსოგნას და მუდამ ცდილობდა შეეგროვებინა და მომავალი თაობებისათვის გადაეცა მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის დამახასიათებელი ფაქტები. ამიტომ იგიორგი ლეონიკე სამუშეუმო საქმის დიდი ენთუზიასტი და მოამაგე იყო. საქართველოს ლიტერატურული მუშეუმის დაარსება უშუალოდ არის დაკავშირებული მის სახელთან. ასევე ითქმის ილიასა და ვაჟას სახლ-მუშეუმებზე საგურამოსა და ჩარგალში.

ამჟამად მინდა გავიხსენო გიორგის ამ დიდი საზოგადოებრივი საქმიანობის ერთი ფაქტი, რომლის უშუალო მოწმე და მოწაფილე ვიყავი მე. ეს გახლავთ სოფელ ქისტაურში (კახეთში) რაფიელ ერისთავის სახელობის სახლ-მუშეუმის შექმნა, რომლის დაარსების საკითხი პირველად გიორგი ლეონიკემ წამოჭრა.

იმ ხანებში მე უკვე პენსიაზე ვიყავი გადახული. ერთ დღეს გიორგიმ ლიტერატურულ მუშეუმში გამომიძახა (მე მას ახალგაზრდობიდან ვიცნობდი), მივიღე თუ არა, კარებშივე შემომეგება ხელმეგობრილი და კახინეტიში შემოიპატიო, სადაც მუშეუმის თანამშრომლებს ვაცნო ჩემი ვინაობა, ისიც გაიხსენა, რომ ხშირად მესტუმრებოდა ზოლმე თავის მეგობარ პოეტებთან ერთად ჩემს ბინაზე, ავლადბრის უსინათლოთა სკოლაში, სადაც მასწავლებლად ვმუშაობდი და ძველ ვცხოვრობდი. ამ ამბებს იხსენებს სპოეტი ზალვა აფხაიძე თავის მოგონებებში ტიციან ტაბიძეზე, რომელიც ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე (1961 წ. № 8) გამოქვეყნდა.

მე სიამაყით ვიგონებ, რომ ჩემს ბინაზე ხშირად უტარებიათ დრო და პოეტიაზე საუბარში დასთენებიათ ტიციან ტაბიძეს, პაოლა იაშვილს, გიორგი ლეონიკეს, სანდრო შანშიაშვილს, ნიკო ქლორთქიფანიძეს, სერგო კლდიაშვილს, სიმონ ჩიქოვანს და სხვებს. ამ მეგობრულ ხელშეწყობას მუდმივად ესწრებოდნენ მსახიობები თამარ ჭავჭავაძე, ნატო ვაჩნაძე, უზანგი ჩხეიძე, რეჟისორები სანდრო ახმეტელი, ნ. შენგელია და სხვები.

ეს იყო დაუვიწყარი ხალამოები. მათ ერთმანეთი დრმად და გულწრფელად უყვარდათ, ლექსებს დაბეჭდვამდე ერთმანეთს უკითხავდნენ, ამოწმებდნენ; როდესაც აქ წაკითხულ ზოგიერთ ლექსს, შემდეგ დაბეჭდილს ვკითხულობდი, სიამოვნებას სჭვრიდა ის გრძნობა, რომ ბევრი მათგანი პირველად ჩემს ბინაში წაუკითხავთ მათს ავტორებს; აქვე მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოში ჩამოსული რუსი მწერლები — ა. ბელი, ბ. პასტერნაკი, ნ. ტიხონოვი, ი. ტინიანოვი, მ. შავლეგო და სხვები ქართველ თანამეგობართა შორის თავს შინაურულად და ლაღად გრძნობდნენ, რაც მთავარია, დრმად ეცნობოდნენ თანამედროვე და კლასიკურ ქართულ მწერლობას.

ახლა დავუბრუნდეთ მუშეუმის ამბავს. გიორგიმ მითხრა, რომ საქართველოს ლიტერატურულ მუშეუმს დღემდე არა აქვს რაფიელ ერისთავისა და მისი მახლობლების შესახებ არავითარი მახალა; ამას გარდა, მე დამავალა შეეგროვებინა ცნობები თუ დოკუმენტები რაფიელის დის, ცნობილი მწერალი ქალის ბარბარე ერისთავ-ჯორჯაძისა და დიდი ქართველი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის ირგვლივ (რაფიელ ერისთავის მშახ, სოსიკო ერისთავს ცოლად ჰყავდა ალექსანდრე ყაზბეგის და, დარიკო. ალექსანდრე და დარიკო დედით ერთი იყვნენ).

შეორე დღესვე გავებგზავრე სოფელ ქისტაურს. სოფლის ახალგაზრდობამ, როგორც კი გაიგო ჩემი ჩასვლის ამბავი, გამოეშურა ჩემსკენ. მე სომ აღ-

რე მათი მასწავლებელი ვიყავ (1917-1919 წლებში). ჩავდი თუ არა, მიმიწვიეს 1 მაისის საღმრესაწაულო ჩემზე, რომელიც ერისთავისეულ დარბაზში გამართათ. სიხარულით მივიღო იმ სახლში, რომელიც უკვე დიდი ხანი იყო აღარ მენახა. ამჟამად ამ სახლში გამართულია პოეტ რაფიელ ერისთავის სახელობის სრული საშუალო სკოლა.

გაცოცხლდნენ მოგონებები... თვალწინ წარმომიდგნენ მშობლები, ჩემი ბავშვობა; ამ სახლში უცხოვრიათ და თავიანთი მხატვრული ნაწარმოებები შეუქმნიათ რაფიელ ერისთავს, ბარბარე ჯორჯაძეს, ალ. ყაზბეგს, ჩემს საამაუო წინაპრებს. ალექსანდრე ყაზბეგი ხშირი სტუმარი იყო რაფიელის ოჯახისა; იგი ჩამოდიოდა კახეთში თავის დასთან, დარიკოსთან, აქ ჩრებოდა მთელი თვეობით.

დარიკო საზოგადოებაში სახელგანთქმული იყო თავისი შეხანიშნავი ხელსაქმით; სოფლის ქალიშვილებსაც, პატარძლებსაც ის ასწავლიდა ზელსაქმეს, ფარდაგების ქსოვას.

ქისტაურში ჩასვლისთანვე შევუდექი საქმეს. თანდათანობით შეეგროვებო მუშეუმის მასალები: არაგვის ერისთავთა გენეალოგიური ნუსხა, შედგენილი თვით პოეტ რაფიელ ერისთავის მიერ, მარი ბროსეს დავალებით (ამ გენეალოგიის დედანი დაცულია ლენინგრადის მუშეუმში, მარი ბროსეს საარქივო ფონდში); ამ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ რაფიელი არაგვის ერისთავთა შთამომავალია. მასი საგვარეულო ზტო მომდინარეობს ნუგზარ არაგვის ერისთავიდან, რომელიც გიორგი სააკაძის ნიშნით იყო. მე-17 საუკუნის შერობ ნახევარში, როდესაც არაგვის საერისთაო აწიოებულ და აობრებული იქნა, აქედან აიყარა არაგვის ერისთავი სარიდან, თან წამოიყვანა თავისი შვილი ბეჟანი; შემდეგ მე-18 საუკუნეში, ერკლე მეფის დროს არაგვის ერისთავთა შთამომავალი დასახლდნენ კახეთში, სოფელ ქისტაურში.

ამ სოფელში 1824 წელს დაიბადა პოეტი რაფიელ ერისთავი.

გარდა ზემოხსენებული გენეალოგიური ნუსხისა, შევკრიბე რაფიელ ერისთავის წერილები ქართველ, რუს და უცხოელ მოღვაწეებთან (ილია ჭავჭავაძე, ივ. კერესელიძე, დ. ჩუბინაშვილი, დავით ერისთავი, ნ. ნიკოლაძე, კ. ბოროზდინი, ვერდერევესკი, ბროსე, არტურ ლაისტი და სხვ.).

ამ შესანიშნავ ეპისტოლარულ შეგვიდრეობას დაემატა სხვა მახალა; კერძოდ რაფიელის მისი სოსიკოს წერილები სამეურნეო საკითხების შესახებ, ბარბარე ერისთავ-ჯორჯაძის და მისი ქალიშვილის მანანას (პროფ. იგიორგი გეტტმანის დედა), მათი მახლობლების წერილები. ამას გარდა, მოვავროვე მახალალები, რომლებიც ასახავდნენ რაფიელ ერისთავის გარდაცვალებისა და დაკრძალვის დღეებს. აქ იყო ფოტოები, გვირგვინები, სამძიმრის დეპეშები, მათ შორის დიდი ილიას დეპეშა.

როდესაც მთელი მახალა გიორგი ლეონიკეს გავაცანი, იგი დიდად ნახიამოვნები დარჩა და ყოველივე ეს დაუყოვნებლივ შეიძინა ლიტერატურული მუშეუმისათვის.

ამავე დროს გიორგიმ წამოჭრა საკითხი, რათა ქისტაურში დაარსებულიყო რაფიელ ერისთავის სახელობის სახლ-მუშეუმი. ჩვენი რესპუბლიკის მთავრობამ მშინვე იგილო სათანადო თანხები და 1950 წლის 26 ნოემბერს რაფიელის სოფელში გაიხსნა სახლ-მუშეუმი. ამით ახალგაზრდობას საშუალება მიეცა უფრო ახლოს ვაცნობოდა პოეტის მშობლიურ კუთხეს, მის ცხოვრებას, მოღვაწეობას, მის მახლობლებს, მამა-პაპის კარმიდამოს და სხვ.

მე მხოლოდ ერთი ფაქტი გავიხსენე გიორგი ლეონიკის მოღვაწეობიდან. ვინ მოსთვლის რამდენი ასეთი სახელო საქმის თაოსანი იყო იგი. თავისი დიდი სოციალური სამშობლოხადმი, განახლებული და აღორძინებული საბჭოთა საქართველოხადმი მან გამოხატა არა მარტო ბრწყინვალე ლექსებსა და მოთხრობებში, არამედ ამ დაუცხრომელ საზოგადოებრივ ღვაწლსა და საქმიანობაშიც; და ჩვენი მადლიერი ხალხიც მუდამ სიყვარულით გაიხსენებს ამ შესანიშნავი ადამიანის სახელს.

ქმარლასა- რბული ქალი

საღვ კვლიათი

მ თ ხ რ ო ბ ა

ზარინქოლამ თერანში, სარჩამქმს უბანში, პატარა ოთახში ორი ბედნიერი თვე გაატარა. გოლბებუ დილით სამუშაოდ მიდიოდა, ზარინქოლა კი სახლში საქმიანობდა, ოთახს ალაგებდა, ტანისამოსს აკერებდა, ღამეს კი სიტყვობებსა და ალერსში ატარებდა. ზარინქოლას თავისი დედა, დები და მეპრინბანუც კი დაევიწყდა, მაგრამ წუთისოფელი განა დიდხანს გაახარებს ვინმეს?

სამი თვე მიიწურა, გოლბებუს ხასიათი შეეცვალა. ახალი მეგობარი — ქალოლოში შეიძინა. ყოველ საღამოს მასთან ერთად მიდიოდა უღვამა რეზას ყავახანაში და იქ ომთქმს სწევდა, ცოლს კი სახარჯო ფულს არ აძლევდა. სახლში მისი შემოსევა და აყალ-მაცალის ატეხა ერთი იყო. დაიხვევდა ხელზე რაიმე სრულად უბრალო შემთხვევას და გაქონდა ცოლის ტანზე შოლტს ტლაშა-ტლუში. ამ დროს გოლბებუს სახეს უახრო გამომეტყველება ჰქონდა, თვალბს აქეთ-იქით აცეცებდა, ორნაკვიან შუე შოლტს, რომლითაც სახედრებს ხედნიან ხოლმე, გარშემო ატრიალებდა და ზარინქოლას ხელბზე, ზურგზე და ფეხებზე სცემდა. საცოდავი ქალი ცრემლად იღვრებოდა, ყვიროდა სანამ სწვევად მეზობლები არ შემოცვივდებოდნენ. ქმარი ბოლოს კიდევ ერთ წიხლს უთავაზებდა და შოლტს თაროზე შეშოდებდა. ქალი გონს ძლივს მოდიოდა, მისი ქვითინი და მოთქმა ყოველ დიდხანს ისმოდა. ომთქმისაგან გაბრუებული გოლბებუ ოთახის კუთხეში ფეხბორთხმული იჯდა და ზურგით ზანდუქს ეყრდნობოდა. ცოტა ხნის შემდეგ ქმარი იკითხავდა:

— ქალო, ამაღმ ვახშმად რა გვაქვს?

ზარინქოლა წამოხტებოდა, ქვაბს შემოარბენინებდა, საბილენძის ჯამს შექამადით აავსებდა, შიგ ბურს ჩაფშენიდნენ, ზედ ახალ ხახვს ატანდნენ და ქონიან თითებს ტანისამოსზე იწმინდდნენ. როცა ზარინქოლა ლამდეს ჩააქრობდა, ისინი შავი და მწვანე ყავილებით მოხატული საბნის ქვეშ წებებოდნენ. გოლბებუ ცოლს ნამტირალეუ თვალბს დაუცოცნიდა და მათ შორის ზავი ჩამოყდებული იყო. ასე იყო ყოველ საღამოს.

ცხრა თვე მიიწურა და ზარინქოლას ვაჟი შეეძინა. ახლად შობილს წელზე ორი წითელი ზოლი ჰქონდა. დედის აზრით, ეს გოლბებუს შოლტის ნაკვა-ლევი უნდა ყოფილიყო. ბავშვი სუსტი იყო და ხშირად ავადყოფნობდა. ზარინქოლას შშობილური სოფლის, ფარანდუქის მამასახლისის საპატრიკეპლოდ ბავშვს მანდე ალი დაარქვეს.

გოლბებუს საქმე ცუდად წაუვიდა. ერთი სახედარი მოუკვდა, მეორე გაყიდა, ადებული ფული ომთქმში, შელოცვებზე და მალარიის გუქრანლობაზე დახარჯა, არც მტუშობით იწუხებდა მანცდამინც თავს. ერთ დღეს გოლბებუ ცოლს ხუთი თუმანი მისცა, დაუბარა: სამუშაოდ მივდივარ და ოც დღეში დაბრუნდები, გავიდა ოცი დღე, გოლბებუს კვალიც კი აღარსად ჩანდა.

სად არ იარა, ვის არ ჰკითხა, მაგრამ ქმრის კვალსაც ვერ მიაგნო. ერთ საღამოს ზარინქოლა უღვამა რეზას ყავახანას ესტუმრა, აქ გოლბებუს მეგობარს, ქალოლომს წააწყდა და თავისი ქმრის ამბავი გამოჰკითხა.

— ბებუზე მეკითხები? ის აქ ჩამოსვლელი აღარ არის, მდგატოვა, ახალი ოჯახი გაიჩინა, თავის სოფელ ზარინბადში წავიდა და მითხრა, რომ ამაზე კრიტიკი არ დამერა.

— სად წაუვიდა, ზარინბადში? — ჩაეკითხა ზარინქოლა.

ქალოლომმა დაუღამტურა.

ახლა კი მიხვდა ქალი, რომ ქმარმა მოატყუა და თავის სოფელში გაიძარა, გაახსენდა ქმრის ნაამბობი, რომ მას სოფელში მიწის ნაკვეთი ჰქონდა. ძმებიც ჰყავდა.

ზარინქოლას ვაგონილი ჰქონდა, რომ ბავშვი ცოლქმარული ურთიერთობის შემეაერთებელი ხდოდა, ფი იმ პატარა ლურსმანს ჰგავს, რომელიც მაყრატლის ორ ნახევარს ერთმანეთს უკავშირებს. ამიტომაც იმედი ჰქონდა, რომ

ქმრის სოცარულს პატარა მანდე ალის დახმარებით დაიბრუნებდა. ბავშვს კარგად აქმევდა, ხილს არ აკლვდა, მაგრამ ეს მცირედი ყურადღება იმით აიხსენებოდა, რომ ბავშვი თმებით მამას ჰგავდა. შვილის ტირილს რომ არ შეეწყობებინა ზარინქოლა, მას ხაშხაშს აძლევდა და ბავშვიც სულ ძილად იყო მივარდნილი.

იმ დღეს, ქმრის საქმრად წასვლა რომ გადაწყვიტა, ზარინქოლამ თავის სახლის მახლობლად სანთელიც აანთა. მზითვეში მიღებული თითბრის სამოგარი და სბილენძის ქვაბი გაყიდა, ადებული ფული უბნის მედქენებს ვალეში დაურია, სამგზავროდ ორი თუმანი და ორი ყურანი დარჩა. დაჩრე-ნილი ავლა-დიდება, სხვადასხვა წვრილმანი ნივთები ძველ სკივრში ჩააწყო და სახლის პატრონს გიგროდ მისცა, ფუთაში ორი კაბა, ბავშვის ტანისამოსი, ცოტაოდენი საქმელი შვერა, სამი დღის ორომტრიალისა და დავიდარბის შემდეგ მახანდარაში გამგზავრების სამევი მიიღო და გზას გაუდგა. ზარინქოლას თავ-გზა ისე ჰქონდა აბნეული, რომ მხვა ავტობუსში ჩაქდა და თავი შიმარაში ამოყო. პოლიციელმა ბავშვიანი ქალი შეიკოდა და თერანში მიმავალ ავტობუსს გაატანა, აქედან კი იგი მახანდარაში საბარგო მანქანით გაემგზავრა. მანქანის მონოტონურმა რწევამ, ჩამოწოლილმა სიბნელემ, ბავშვის მშვიდმა სუნთქვამ, მთვლემარე მგზავრებმა ქალსაც ძილი მოჰგვარა. ცოტა თვალი მოატყუა და როცა გაღვიძა, უკვე სარიში იყვნენ. ზარინქოლა ფუთას წაეჭანა, ბავშვი ხელში აიყვანა და მანქანიდან გადმოვიდა. ჩაბნელებულ და შინარე ქალაქში სიჩუმე სუფევდა. სახლები, ხეები, ბუჩქები თითქმის ბოლოთ ან რბილი შავი მჭვარტლით იყო დაფარული. ხანგამოშვებით ღამის სიმშვიდეს რომელიც ჩიტის შესაბარლის მოძახლო არღვევდა. შორს სინათლე ციმცი-მებდა. ერთ-ერთი სახლის აივანზე თეთრჩადრიანი ქალი იდგა. ზარინქოლას გარშემო სიკარიელი იყო, მას მხოლოდ გოლბებუს ხმა ესმოდა და მხოლოდ მის სახეს ხედავდა. დუქნის წინ ორნი ისხდნენ. ზარინქოლამ მათ ზარინბადის საყენი მითავალი გზა ჰკითხა. ერთ-ერთმა უბასუხა, რომ ეს სოფელი სარის გზა-ზეა. ზარინქოლამ იქვე მდგარი თასიდან წყალი მოსვა და იქაურობას მოსცილდა.

ზარინქოლა უცხო მხარეში უხალისოდ მიაბოჯებდა, მაგრამ როგორც კი გაიფიქრებდა, რომ გოლბებუ სადღაც ახლოს იყო, მაშინვე ირგვლივ ყველაფერი მხიარული და სტუმართმოყვარე ეჩვენებოდა. ჩადრი ბოლოში ფული ჰქონდა გამოკრული, ნასკვი გახსნა, ერთი ყურანი ამოიღო, ახალი ჰური, მწვანელი და ბადავი იყიდა, რომელიცაც სახლის კარებთან, საიდანაც სინათლე გამოდიოდა, ჩამოჭდა და დედამ და შვილმა იგახშმეს, შემდეგ იქვე თათან მიწვენენ და დაიძინეს.

მეორე დილით ზარინქოლა ადრე ადგა, მოედინევენ გაეშურა, იქ ერთი საათის ვაჭრობის შემდეგ ოთხ ყურანად სახედარი იქირავა, რომ ზარინბადში წასულიყო.

შუადღე ვადსული იყო, ზარინბადს რომ მიადრეხენ. მოედანზე შეჩერდნენ. ზარინქოლა სახედრიდან ჩამოვიდა, ფულის მიცემა დააპირა, მაგრამ გზაში თავშალის ნასკვი გახსნილიყო და შიგ ფული აღარ იყო. მის კაბიკებს ვინ დახარბდებოდა? არა, რომ მოეპარათ, აუცილებლად შეამჩნევდა. ალბათ, თავ-გზაბნეულმა ქალმა თავშალის ყური კარგად ვერ გამოიხსნა. ყველაფერი შეიძლება მომხდარიყო, ახლა რაღა ეშველებოდა? ატყდა აურ-ზაური და აყალ-მაცალი, ბოლოს სახედრის პატრონმა ზარინქოლას ფუთა წაართვა და წავიდა. რა მწიფეულმა ჰქონდა ამას ზარინქოლასათვის? ვანა საწადელს არ მიადრეხა? გოლბებუს გვერდით, მის სოფელში არ იყო? ახლა ქმრის იზოვის, თავისი მგზავრობის ამბავს უამბობს და ყველაფერი რიგზე იქნება. ზარინქოლა გოლბებუს თმის ერთ ღერს უმდიდრეს განძზე არ გაცვლიდა.

ქალმა მიხედ-მოიხედა, სოფელი ხეობაში იყო გაშენებული, მთებზე მწვანე ნათესები შეფენილიყო, ზარინქოლას მოეჩვენა, რომ სოფელი და მისი მკედრნი ძილს ვერ ართმევენ თვს. შორიდან ძაღლის ყევა ისმოდა. ვი-ლაცა იძახდა „ბებუ, ეი, ბებუ“. ამ სახელის ვაგონებაზე ქალს ფული ჩაწყდა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ მოპასუხე სხვა იყო. დუქნის წინ, მორზე მოხუცი იჯდა.

ზარინქოლამ მოხუცს ჰკითხა:

— ბაბა ფარახის სახლი რომელია?

მოხუცმა ცოტა მოშალლოდ აშენებულ სახლზე მიუთითა:

— აიენიან სახლს ხედავ? იქ ცხოვრობს.

ზარინქოლამ ბავშვი ხელში აიყვანა და იმედმიცემული სახლისაკენ გაემართა. დაავაუნა. კარებში დედაბერმა ნაყავილარი სახე გამოჰყო და იკითხა:

— რა გინდა?

— გოლბებუს ნახვა მინდა.

— მასთან რა საქმე გაქვს?

— მე გოლბებუს ცოლი ვარ. ეს კი, მისი შვილია — მანდე ალი. თერანის-დან ჩამოვედი.

— კარგი, კარგი... გოლბებუ ის ქალი ხომ გაავდო, იმ ცოლს გაეყარა, — შემდეგ ეზოსაკენ შებრუნდა და დაიძახა:

— ბებუ, ეი, ბებუ!

კარებში გამოჩნდა წვერმოვეებული, ძილისაგან თვალბდასიებული გოლბებუ, მას მყერდი ვაღელილი ჰქონდა და ბალანი მოუჩანდა. გოლბებუს გამხ-დარი, დიდთვალბა და სახეყითელი ქალი გამოჰყვა, რომელიც კანკალბდა და მკლავში ჩაღრენოდა, თითქმის ვინია, ქმარი არ წამართვანო. ქალს შუბ-ლიცა და ხელებიც ჩაღრეებული ჰქონდა.

— ბებუ, გენაცვალე! ბებუ, მე მოვედი.

* თასხარული. იხ. შურს. „დროშა“ № 7.



ტელ.

ს ვ ი ვ ი ს

ქ რ ა ბ ი

ისრაელის მთავრობაში უდიდესი გავლენით სარგებლობენ ადამიანები, რომლებიც ცნობილი არიან როგორც თავიანთი უკიდურესი შოვინიზმით, ისე უშვიდროესი კავშირით ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

ომის მთავარი მქადაგებელი ისრაელში არის დავიდ ბენ-გურიონი. ეს 82 წლის მოხუცი დღემდე მეტად გავლენიან სპირიტუალურ წარმომადგენს ისრაელის პოლიტიკურ სცენაზე.

ისრაელში არსებობს „ქორებად“ და „მტრედებად“ დაყოფის ტენდენცია. „ქორები“ აქ მეტად დიდ ძალას წარმოადგენენ. მათი ყველაზე უფრო ცნობილი ტრიო შესდგება ბენ-გურიონის, გენერალ მოშე დაიანის და შიმონ პერესისაგან. დაიანსა და პერესს მეტად დამახასიათებელი ქიშპობა აქვთ ერთმანეთში ბენ-გურიონის დაჯანს გვირგვინისათვის; სწორედ დაიანმა, რომელმაც ხელთ იგდო თავდაცვის მინისტრის მინიშნულობა პოსტი, შეძლო ამ ქიშპობაში წარმატების მიღწევა. ამით მან გაიუმჯობესა თავისი პოზიციები შემდგომში კიდევ უფრო დიდ თანამდებობაზე დასაწინაურებლად და, ამასთან ერთად, მინისტრთა

კაბინეტშიც განიტკიცა თავისი გავლენა როგორც „ომის პარტიის“ ლიდერმა.

დაიანს მეტად უცერემონიოა იმართან, ვისი აზრითაც ისრაელი შეძლებს რაიმეს მიღწევას არაბების მიმართ უფრო რბილი პოლიტიკური კურსის გატარებით.


დაიანს მრავალი თავანისმცემელი ჰყავს. მაგრამ მისი უახლოესი კოლეგები ძალიან ეჭვობენ, რამდენად სწორად შეუძლია მას ვითარების შეფასება. თვით ბენ-გურიონი მხარს უჭერს თავდაცვის ყოფილ მინისტრს შიმონ პერესს, რომელმაც ვერ მოახერხა მინისტრის პორტფელის მიღება ახალ კაბინეტში.

სულ სხვა ყუადის „ქორს“ წარმოადგენს მენახემ ბეგინი. იგი უპირატველო მინისტრია. ბეგინი იყო საიდუმლო ტერორისტული ორგანიზაციის „ირგუნ“ ცვაი ლეუმის“ ხელმძღვანელი.

ინგლისის უშიშროების ორგანოები დიდხანს და უშედეგოდ ნადირობდნენ მასზე ორმოციან წლებში.

მის პარტიას „ხერუტს“ უკავშირებენ მოთხოვნებს „მდინარე იორდანის ორივე ნაპირზე ერთიანი და განუყოფელი ისრაელის შექმნის“ შესახებ. ამგვარმა განცხადებებმა დიდად გაუტეხეს სახელი ისრაელის ალტეშას, რომ თითქმის მას მხოლოდ კარგი ურთიერთობის დამყარება სურს თავის არაბ მეზობლებთან. რეალურმა სინამდვილემ ცოტა გაუნელა ბეგინს გულფიცხობა: თუ აღრე იგი უკომპრომისობას იჩენდა ექსპანსიის საკითხში, ახლა ის საკმაოდ ფრთხილ პოზიციას ადგას.

(„ობსერვერი“, ლონდონი).



*

*

*

ახლა მთელმა მსოფლიომ უკვე კარგად იცის, თუ ვისი იმედი აქვთ დავის ეყრდნობიან ტელ-ავივის ექსტრემისტები. მათ აქვთ ბენ და ყოველმხრივ ხელს უწყობენ ამერიკის აგრესიული წრეები.

და არა მარტო ისინი. „ეს მართლაც რომ დიდებული რამ არის“, წამოიძახა ესხელთა ყოფილმა ბრიგადფიურერმა კარლ ცერფმა, — ამ ისრაელელებს ბიბლიოთეკებში ხომ ჩვენი ინსტრუქციები აქვთ, რომ აღარაფერი ვთქვათ სკორცენის წიგნზე „იცხოვრე ხიჯათით“.

კარლ ცერფის კოლეგამ, აგრეთვე ყოფილმა ესხელმა, გადაწყვიტა არ დაქაყოფილებულიყო მარტო განცხადებებით და ისრაელის საელჩოს გადაურიცხა 15.000 მარკა „დახმარების ფონდში“: დაე იცოდნენ ვისი იმედი იქონიონ გაჭირვების ეამსო.

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ებრაელთა დამარბეებმა და ამომტლ-

ტავებმა, როგორც ჩახს, უშაღ იგრონეს სულიერი ნათესაობა ისრაელის მილიტარისტულ მმართველ წრეებთან; ეს უშაღ გამოჩნდა დასაფლეთ ჯერმანიის პრესაში: „მოსკოვს სურს ხელიდან გამოაცალოს ისრაელს გამარჯვების ნაყოფი“; „დასავლეთის წინააღმდეგ ბრმა სიძულვილში არაბები მოსკოვისკენ ხრიან სასწორს“, — წერს გავითი „ველტი“. მას მხარი აუბა „ფრანკფურტერ ალგემეინემ“, სადაც სამხედრო მიმოხილველად ჰიტლერის გენერალური შტაბის ყოფილი პოლკოვნიკი მუშაობს.

თავის მხრივ ისრაელის პრესა მაღლობას უხდის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას მის მიერ დაკავებული „სამართლიანი პოზიციისათვის“.

რა აერთიანებს ისრაელის სახელმწიფოს ხელმძღვანელებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფლებთან, რომლებიც, სხვათა შორის, დღემდე ხელს უწყობენ რასისტებისა და ანტისემიტების ორგანიზაციას — ე. წ. „ნაციონალურ-დემოკრატიულ პარტიას“? პასუხი უბრალოა: ეს მათი, ამერიკული იმპერიალიზმის ლაქათა საერთო როლია, რომელსაც თვითიული მათგანი თავის რაიონში თამაშობს.

მაგრამ გოლბებუმ ზარინქოლა ცივად შეათვალეირა და უპასუხა:

— წადი, წადი, ვინა ხარ? მე შენ არ გიცნობ.

ლაპარაკში დედაბერი ჩაერია:

— ჩემს შეილთან რა საქმე გაქვს, შე უნამუსო, შენა, ეგ ნაბიჭვარი ჩემს

შვილს გინდა მოახვიო კისერზე?

გოლბებუმ ისევ მიმართა ზარინქოლას.

— რას ჩიხახე? რაღაცა გეშლება.

ზარინქოლა დამბლადაცემულივით გახევებული იდგა. ასეთ შეხვედრას არ ელოდა, ასეთმა მოქცევამ ქალი ზიზღით აღავსო და გოლბებუსადმი ყოველგვარი გრძობა გაუქრა. ზარინქოლამ მასპინძელს დაცინვით მიმართა:

— შენ შვილს შენ თვითონ მოუარე, მე ამის შენახვის თავი არა მაქვს.

გოლბებუს დედა აყვირდა:

— ეს ნაბუშარი? რა ვიცი, საიდან მოიყვანე?

ზარინქოლა მიხვდა, რომ საქმე უკუღმა დატრიალდა: ყველაფერზე ეტყობოდა, რომ გოლბებუ კარგად მოეწყო, მდიდრულად ცხოვრობდა და თავისი ბედით კმაყოფილი იყო. ქალი მიხვდა, რომ გოლბებუ ბავშვის გამო თავს არ შეიწყუბებდა. ზიზღნარევემა მხერამ, რომელიც ზარინქოლამ დაიჭირა, ქალს აგრძობინა, რომ გოლბებუს მისი ნახვაც კი არ სიამოვნებდა. ხვეწნას რა აზრი ჰქონდა? ზარინქოლა შებრუნდა და წავიდა.

მოედინსაყენ ზარინქოლა ნელა მიდიოდა, უეცრად რაღაცა გაახსენდა, შეჩერდა, მთვლემარე ბავშვი ერთ-ერთი სახლის კარებთან დასვა და უთხრა:

— მომიცადე, გენაცვალე, ახლავე მოვალ.

ბავშვი, როგორც ბაბბის ტყინა, მშვიდად და მორჩილად იჯდა. ზარინქოლას უყან დაბრუნება არც კი უფიქრია, შვილის კოცნაც კი დააფიქცა. ბავშვი მისთვის ზედმეტი ბარგი იყო. ახლა ზარინქოლას ხელ-ფეხი გაეხსნა, უბავშვო და ცარიელ-ტარიელმა ქალმა შვებით ამოისუნთქა. იგი თავისუფალი იყო, მას აღარაფერი აკავებდა. ქალი სოფლის მოედანზე დაბრუნდა, აქ ყველაფერი ძველებურად იყო. მოხუცი ისევ დღუქნის წინ მორბე იჯდა და თვლემდა. თით-

ქოს მთელი სიცოცხლე ამ მორბეზე გაუტარებიაო. აქვე დაბერებულაო. დიდმა მამალმა, რომელიც ზარინქოლამ ადრე ვერ შეამჩნია, ფრთხილ გაიჭინა და ერთი ხმამაღლა დაძაძა. ქალისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. ყველა თავის საქმით იყო გართული. ვის რა ესაქმებოდა ზარინქოლას ცხოვრებასთან, მის გრძობებთან? ქალს კი სურდა ბავშვისაგან რაც შეიძლება შორს ყოფილიყო, ჩქარა გაქცეულიყო.

ცხელია, ნესტიანი და ჩამოსუთული ჰაერი ციებ-ცხელებიანი ავადმყოფის მძიმე სუნთქვას ჰგავდა. ქალი გზაზე უგულსსუროდ, ყოველგვარი მიზნის გარეშე მიბოტებდა, სოფელს გასცდა და შარაგზაზე გავიდა, დაიანხა სახელაფლაჟა, მოსული ტანის შოლტიანი ახალგაზრდა კაცი, რომელიც სახედარზე იჯდა, მეორე სახედარი კი უყან მოსდევდა.

— ტაბუცო, მოდი ერთი მადლიანი საქმე ქენი, წამოიყვანე.

ახალგაზრდამ სახედარი გააჩერა და ჰკითხა:

— რა თქვი?

— ჩამოსული ვარ, აქ არავის არ ვიცნობ, წამოიყვანე... — და ქალმა მეორე სახედარზე მიუთითა. ახალგაზრდა კაცი ძირს ჩამოხტა, ზარინქოლას შეჯღმამი მიეშველა, თვითონ მეორე სახედარს მოახტა ზურგზე, უკანმოუხედავად შოლტი გადაუჭირა და სახედარები გზას გაუდგინა.

როცა მინდორში მიდიოდნენ, ახალგაზრდა კაცი დაიხარა, ქერის ღერო მოსწყვიტა და პირში ჩაიგდო. იგი იმავე სიმღერის მელოდიას სტვეწდა, რასაც გოლბებუ რთველში, მათი პირველი შეხვედრისას მღეროდა. ზარინქოლას თვალწინ მთელი თავისი ცხოვრება წარმოუდგა: ბავშვობა, დედის წყევლა, მთვარიანი ღამე, როცა გოლბებუსთან ერთად თეირაშს მიემგზავრებოდა, გოლბებუს დედის წყევლა-კრულვა. ქალს წყურვილისგან ხახა უშრებოდა, შიოდა კიდევ, მაგრამ მაინც მხიარულად იყო... არ იცოდა, რატომ შეჯდა სახედარზე, ან სად მიდიოდა. ამას კი ფიქრობდა: „იქნებ ამ ახალგაზრდა კაცმა შოლტი ცემა იცის და მასაც სახედარის და თავლის სუნი აქდისო“.

სპარსულიდან თარგმნა მ. კიშელაშვილი

ანა ახვასიანი

ჩემი მოსწონი ურთიერთობა



პირველად
ქართულ ენაზე

1926 წლის 27 თებერვალს მხატვარ კირილე ზდანევიჩის ბინაზე შეიკრიბნენ ქართველი მწერლები, რათა სასიყვარულო სტუმრისათვის — ვლადიმერ მაიაკოვსკისათვის — ნიკო ფროსმანნიშვილის სურათების კირილესეული მდიდარი კოლექცია ეჩვენებინათ.

ფროსმანის გასაოცარმა ქმნილებებმა უდიდესი სიხარული მიანიჭა სტუმარსაც და მასმხილველსაც, მაგრამ, რა თქმა უნდა, საუბარი პოეზიასაც შეეხო და ამ საღამოს ლექსებიც აელერდნენ ძალუმად. ამ ახალგაზრდა მწერლებს და მხატვრებს საერთო ესთეტიკური და საზოგადოებრივი მიმსწრაფებანი აერთიანებდათ. ყველანი საკმაოდ მტრულად უყურებდნენ ისეთ პოეზიას, რომელიც მათის აზრით არ იყო ფორმით და შინაარსით შესაფერისად „მემარტხენე“ და „რევოლუციური“.

ამიტომ ყველამ გაიკვირა, როდესაც მაიაკოვსკიმ საკუთარი ლექსების შემდეგ ჯერ ალექსანდრე ბლოკის, ხოლო შემდეგ დამსწრეთათვის მოულოდნელად ანა ახვასიანის ლექსების კითხვა დაიწყო. სიმონ ჩიქოვანი, რომელმაც აღწერა სწორედ ეს საღამო თავის ბრწყინვალე მოგონებებში, ასე განაგრძობს თხრობას:

„ანა ახვასიანის ლექსები „ღრუბლის“ ავტორმა შთაგონებულად და ფაქიზად წაიკითხა... მე გაუბედავად ვუთხარი, არ მეგონა თუ თქვენი ხავერდოვანი ბანი ასე დაშვენდებოდა ანა ახვასიანის მყიფე და სათუთად აგებულ სტრიქონებს-მითქი. მაიაკოვსკიმ შემხედდა და საქმიანი კილოთი, რაღაც პასუხისმგებლობის შეგნებით მიმასუხა: ეს ლექსი სათუთი და მყიფე გრანობის გამოამსახველია, მაგრამ თავად კი არ არისო მყიფე, მისი ლექსი მონოლითურია და ყველა ხმას გაუძღვება, არ დამსხვრევია. იგი ეტყობა კარგად იცნობდა ანა ახვასიანის პოეტურ ბუნებას. თავის მხრივ ანა ახვასიანს თავისებურად მოხიბლული იყო „ადამიანის“ ავტორის შემოქმედებით. ეს გამომყვარდა თუნდაც მის ლექსში „ვლადიმერ მაიაკოვსკი 1913 წელს“.

მოვიტანთ ერთ ამონაწერს პოეტის ავტობიოგრაფიიდან. იხსენებდა რა 1941 წლის ივნისს, ომის დასაწყისს, ანა ახვასიანს აღნიშნავდა:

„მე არ შემინწყვეტია ლექსების წერა. მათში ჩემთვის იყო და არის ჩემი კავშირი დროსთან, ჩემი ხალხის ახალ ცხოვრებასთან. როდესაც მე მათ ვწერდი, ვცხოვრობდი და ვსულდგმულობდი იმ რიტმებით, რომლებიც ელერდნენ ჩემი ქვეყნის პეროიკულ ისტორიაში. და მე ბუნდოვანად ვრაცხ ჩემს თავს, რომ მომიხდა ამ წლებში ცხოვრება და რომ ვიხილე სწორებუთარი მოვლენები“.

ანა ახვასიანს არ სტუმრებია საქართველოს, თუმცა მისი ლექსი იმთავითვე ხიბლავდა ქართველ მკითხველებს — გალაკტიონსა და „ცისფერყაწველებს“, ალექსანდრე აბაშელსა და სიმონ ჩიქოვანს. უფრო გვიან ანა ახვასიანს შთაგონებულად თარგმნა მცხოვანი იოსებ გრიშაშვილისა და ქაბუკი მინელი ქვლივიძის ლექსები. სამწუხაროდ, თვით ანა ახვასიანს პოეტური ისტყვა ქართველი თითქმის აროდეს არ აელერებულა. ეს საკვირველი და სამწუხარო ხარვეზი დღეს ნაწილობრივ შეავსო თამაზ ჩხეციკელმა, რომელმაც ღრმა წვდომითა და დახვეწილი ოსტატობით აახმოვანა ქართულად ანა ახვასიანის „ჩრდილოეთის ელფები“, ერთ-ერთი უკეთესი შედეგები დიდი რუსი პოეტის მწიფობის ხანისა. და ვინაიდან ანა ახვასიანს დაგვიანებული სტუმრობა საქართველოში მაინც მოხდა, მე მივინდა, მივმართო მას პაოლო იაშვილის 1922 წელს დაწერილი სტრიქონებით, როდესაც ანა ახვასიანს მოხიბლულმა ქართველმა პოეტმა ელენე დარიანის ქალურ ნიღაბს შეადარა თავი, რათა უფრო მეტის ინტონითა და განდობით გასაუბრებოდა სათაყვანო ჩრდილოელ პოეტ-ქალს:

ჩამოდი ჩემთან, მე მგონია ვიქნებით დები.
თუ პეტერბურგის აგონია გიყვარს... და ვცდები.
თბილისის მადლი და მშვენება გიშველის, ვიცი.
ორივეს ერთად გვიჩვენება წასული პრინცი.
...ჩვენი მზე, ჩვენი მხარე ლურჯი ლოყებს ავინთებს;
აკოცე შენი ცივი ტუჩით თამარის თითებს.

ანა ახვასიანს შემოქმედება გამსჭვალულია ჰუმანიზმის კეთილშობილური იდეალებით. მისმა პოეზიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ეპოქისა და მგონის სისხლბორცველი კავშირის ურღვევი ძალა.

პიორგი მარგველაშვილი

და ამა, ისიც — შემოდგომის იგივე ხელი, რომლისაც ასე გეშინოდა მთელი ცხოვრება: იგივე ზეცა — უფსკრულივით აღმოცენებული და ქალაქის ხმა — მოხმენილი თითქოს იმიერ ქვეყნიდან, ჩემთვის სამუდამოდ უზბო და უცხო. თითქოს ყველაფერს, რასაც მთელი ჩემი ცხოვრება ვერძამოდ გულში, უნებურად ხორცი შეუხსამს, მოუხვეჭია არსებობა და შემართულა...
მ ბრმა კედლებად, ამ უმეურ და ყრუ ხეივანებად...
ხლო იმ წუთში, ჩემს ზურგს უკან გარინდებული, ჩემი ყოფილი სახლი ჯერაც მითავლივლად მოქუტუნი და იჭვიანი, უნდობი მწერით, ხსოვნაში ნათლად ჩარჩენილი ფანჯრების თვალით. თხუთმეტმა წელმა თავი თითქოს ფარისევლურად გრანიტის თხუთმეტ საუკუნედ მოიკატუნა, მაგრამ თვითონ მეც ვაგხდი როგორც კლდე და გრანტი: ახლა შევედრე, თუნდ ჯვარს მაცვი, თუნდა მიწოდე ასული ზღვათა ხელმწიფობა. აწ სულერთია...
მაგრამ მინდოდა გამხდარიყო ჩემთვის სარწმუნო, რომ ეს ყოველი უკვე ბიფრქორ თავს დაატყდომია სხვებსაც მრავალგზის, უფრო ავი გამოცხადებით, უმეტეს ავით, თუმცა არა, — უმეტეს კარგით. და სიხნულიდან — და ეს იყო ყველაზე უფრო გულშემაზრავი — მე ჩემივე ხმა შემომესმა: „თქვი თხუთმეტი წლის უწინარეს, ამ დღეს როგორი შეგებით ხვდებოდი, რა სიმღერით, შენ — დედამიწახ, ცას და ვარსკვლავებს და წყალთა გუნდს ევედრებოდი. მოგსალმებოდნენ მასთან შეყრის საზღიშო ეაშხ, მასთან ვისგანაც დღეს წახვედი, დღეს აღარა ხარ“...

და ამა, შენი სანატრელი ვერცხლის ქორწილი: მოუხბე სტუმრებს, იზიმი დღესასწაული...

სამი ჟამი აქვს მოგონებებს, სამი ჰამანი, მათგან პირველი — გუშინდელი დღე არის თითქოს, და მათი მშვიდი, კურთხეული თაღების ჩრდილში ისვენებს სული და ნეტარებს ჩვენი სხეული. ჯერ არ მიმწუხარა სიცილის ხმა, მაგდის ფიცარს არ გადახვლია მელნის ღაქა, არ შემოიბია წამწამებს ცრემლი და გულს აზის როგორც ბეჭედი უკანასკნელი, ერთადერთი, უფრო კოცნა...
მაგრამ ეს დიდხანს არ გრძელდება... უკვე თაღების მსუბუქი ჩრდილი კი არ გვფარავს, არამედ ხაღაც გარეუბანში ყრუ სახლი დგას განმარტოებით, ხაღაც ზამთარში სიცივეთა, ზაფხულში ცხელა, ხაღაც მტვერია და ობობა დაცოცავს უზბოდ, ხაღაც ხუნდება ბარათები სასიყვარულო, ხოლო ჩარჩოში სულ სხვადასხვა სურათებს სვამენ. ხაღაც მიდიან — მიტოვებულ საფლავზე თითქოს, — შინმოსულები მერე სანთი იბანენ ხელებს და დაღალული თვალებიდან ჩუმად იწმინდენ ცრემლს უნებლიეს და მიიმდ და მწარედ ოხრავენ...
მაგრამ საათი კვლავ ტიკტიკებს. გაზაფხულს მოხდევს კვლავ გაზაფხული, გარდისუერად ჰყვავის დაისი, ქალაქებს სახელს შეთვისებულს ახლით უცვლიან და სველი ამბის მომსწრეს უკვე ვეღარ ხვდები, რომ გარდასული მოიგონო ან დავიკარო. მიდიან ჩვენგან აჩრდილები ასე თანდათან, რომელთაც უკვე აღარ ვუხმობ, რომელთა ჩვენთან კვლავ მობრუნება შეგაკრთობდა და შეგჯვარავდა. ერთ მშვენიერ დღეს, ბურანიდან თავდახსნილები ვამჩნევთ, რომ გზაც კი აღარ გვახსოვს განმარტოებით მდგარი სახლისა და სირცხვილით გაავებულნი მივრბივართ მისკენ, მაგრამ (როგორც სიზმარში ხდება) იქ ყველაფერი სხვაგვარია და უცნაური და ჩვენ ვერავინ ვეღარა გვცნობს, ჩვენ უცხონი ვართ, ჩვენ სხვაგან მოვხვდით, გზა დაგვინა... ო, ღმერთო ჩემო! და აა, როდის დაგვატყდება თავს უმწარესი: თვალნათლივ ვხედავთ, რომ იმ დღეებ უკვე გარდასულს ჩვენი ცხოვრების კალამოტში ვერც კი ჩავტყვდით და რომ წარსული ჩვენთვის თითქმის ისე უცხოა, როგორც ჩვენივე მერსობლისთვის, რომ მათ, ვინც მოკვდა, ჩვენ სულერთია ვერ ვიცნობდით, ხოლო ისინი, ვისთანაც ღმერთმა განშორება იწება ჩვენი, მშვენივრად გრძნობენ თავს უჩვენოდ — და იქნებ ასე სჯობდეს კიდევაც...

თარგმნა თამაზ ჩხეციკელმა

ეკატერინე ბაღდავაძე — ფერწერულ ხილვათა ოსტატია. მრავალფეროვანია მისი თემატიკა, მის ტილოებზე ნაოლად არის აღბეჭდილი მშობლიურა ქვეყნის წარსული და აწმყო. მისი ტკივილი და სიხარული.

მხატვარი ქალის ტალანტი ჩვენი სამხატვრო აკადემიის კედლებში გაიფურჩქნა: მის დაოსტატებას დიდად უწყობდნენ ხელს სახალხო მხატვარი, აკადემიკოსი მოსე თოიძე, უბრწყინვალესი მხატვარი, უდროოდ გარდაცვლილი დავით კაკაბაძე, სახალხო მხატვარი აკადემიკოსი უჩა ჭავჭავაძე...

სამხატვრო აკადემიის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ ეკატერინე მონაწილეობს საკავშირო თუ რესპუბლიკურ გამოფენებზე, აწუობს პერსონალურ გამოფენებსაც. მისი სურათები ამშვენებს არა ერთ მუზეუმსა და გალერეას, მისი გრაფიკული ნამუშევრები ამკობს არა ერთ ქართულ წიგნს.

მაგრამ ბაღდავაძე უპირატესად მაინც ფერმწერალია. მისი ფერწერა ფაქიზია, პოეტური და საოცრად მუსიკალური. იგი ძვირფასი თვლებით ელვარებს და ლირიკული ინტონაციებით არის აღსავსე. ბაღდავაძე უპირატესად ლირიკული განწყობის მხატვარია.

ეკატერინე ბაღდავაძის შემოქმედება უანრობრივად არც თუ მრავალფეროვანია. პორტრეტი და თემატური სურათი (ისტორიული ან საყოფაცხოვრებო) — სულ ეს არის და ეს. მაგრამ მხატვარს ეს გარემოება სრულებით არ ზღუდავს. ყოველი მისი სურათი აღსავსეა ღრმა შინაარსითა და აზრით, მათში მუდამ იგრძნობა შალაღი რომანტიკული გუნება. მისი სურათი, თუნდაც საყოფაცხოვრებო ხასიათისა, ყოველთვის სცილდება უანრულობის ფარგლებს და ერთგვარ ფერწერულ პოემად იქცევა. სიცოცხლის მაღალი აზრი, ადამიანის უფლისა და მისი სულიერი სამყაროს მომხიბვლელია წარმოადგენს ბაღდავაძის შემოქმედების მთავარ თემას.

მრავალგზის უბრუნდება ბაღდავაძე ქართველ რომანტიკოსთა ცხოვრების თემას. ეს რომანტიკული სუნთქვა იგრძნობა მთელ მის ნაწარმოებებში. რომანტიკულია ბაღდავაძის ხილვა ქალთა სახეების ასახვისას. მე არ მეგულება ჩვენში მეორე მხატვარი, რომლის ტილოებზე ქალთა სახეები ასე ელვანტურად, ასე მეოცნებე და ასე ფაქიზი იყოს. ბაღდავაძე ქართველი ქალის უებრო მომღერალია.

ბაღდავაძე — ფერმწერალი-რომანტიკოსია. მისთვის ფერწერა — ადა მაინც სულის უწმინდესი გამოვლინებაა, სუფთა, როგორც ციავი ქართული ზეცისა, რომელიც მოხიბლავს არა მარტო ჩვენს თანამედროვეთ, არამედ მთამომავლოდაც.

ზალვა კვასხვაძე


'ხელოვნების დამს. მოღვაწე ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.



სურათების გალერეაში.

საქართველოს ხალხთა
საქართველო
საქართველო
ფერწერა

10.369.
ეკატერინე
ბაღდავაძე





მკატერინე ზალდავაძე

ენდელა.

1902 წელს, სამტრედიისში, ცოტა ჩრდილოეთით იმ ადგილიდან, სადაც ახლა კულტურის სახლია, გაიხსნა წიგნის მაღაზია, რომელიც სულ ჩქარა იქცა იმ ადამიანთა თავშესაყარ ადგილად, ვინც თავისუფლებისათვის იბრძოდნენ და ხალხის ფართო მასებში კულტურის შუქი შექმნიდა.

მაღაზიის გახსნის თაოსნობა ეკუთვნოდა სამტრედიისავე მკვიდრს — სერგო კალაძეს, რომელსაც თბილისის სახულიერო სემინარია ჰქონდა დამთავრებული. ყოფილმა სემინარისტმა მაღაზიის გამგებლობა მიანდო თავის ძმას — ვარლამ (ბარნაბა) კალაძეს.

სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის გასულ წელს გაზეთ „კომუნისტის“ 14 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული გამოჩენილი რევოლუციონერის ლადო კეცხოველის მანამდე უცნობი ბარათი, მიწერილი ცნობილ მწიგნობარ-გამომცემელ ზაქარია ჭიჭინაძისადმი. ლადო თხოვს ზაქარას, რომ ბარათის მიმტანს, გვარად კალაძეს, რომელიც სამტრედიისში აქვს წიგნის მაღაზია, საკომისიოდ მისცეს წიგნები, რის საფასურზედაც თვითონ კისრულობს თავდებობას.

ბარნაბა კალაძესთან ერთად მაღაზიაში მუშაობდა მისივე თანასოფელი, იატაკქვეშელი ირაკლი კობალიაშვილი. მათთვის მუშაობის გზის მიმცემი იყვნენ ლადო კეცხოველის სემინარიელი მეგობრები სერგო და რაუდენ კალაძეები. მაღაზია მოსახლეობაში ფართოდ ავრცელებდა არადეგალურ რევოლუციურ ლიტერატურას.

სოფელ ეწერში მცხოვრები, აშუამად 90 წელს მიღწეული, ძველი რევოლუციონერი ზაქარია კალაძე, რომელსაც, როგორც ადგილობრივი წითელი რაზმის მეთაურს, ბევრჯერ უბრძოლია იარაღით ხელში მეფის ჯარისკაცების წინააღმდეგ ზესტაფონში, რიონში, ნასაკირალში და სხვაგან, სიამაყით იგონებს თავის ახალგაზრდობის წლებს და მოგვითხრობს: ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, რომ რაუდენ კალაძე სოფელში ყოფნის დროს მე დამიბარებდა როგორც მეზობელს და მისთვის სანდო კაცს, გადმომცემდა წერილს და გამგზავნიდა წიგნის მაღაზიაში ბარნაბა კალაძესთან. მე ვიცოდი, რომ წერილი მეტად საიდუმლო იყო. ცხადია, მე მას არ ვკითხულობდი და უკან დაბრუნებულს მომქონდა ბროშურები, ფურცლები და სხვა. მაღაზიაში ყოფნის დროს ირაკლისა და ბარნაბას საუბარში ხშირად მსმენია ლადო კეცხოველის სახელი, ხან ამბობდნენ, რომ იგი ჩამოსულია, ხან კი მის მოსალოდნელ ჩამოსვლაზე ლაპარაკობდნენ.

ამ მაღაზიის ირგვლივ თავს იყრიდნენ და რევოლუციური მუშაობის ეწეოდნენ სოფელ ეწერისა და მისი მახლობელი სოფლების მცხოვრები გლეხები: ილია კობალიაშვილი — 90-იან წლებში თბილისის მოფარი სახელმწიფოს მუშა; გერასიმე კალაძე — ბათუმის როტშილდის ქარხნის ყოფილი მუშა, იქაური რევოლუციური გამოსვლების მონაწილე; რაფიელ ჩიხლაძე — ისიც ბათუმის ქარხნის მუშა, არადეგალური რევოლუციური ჯგუფის წევრი და მრავალი სხვა, რომლებიც თავდაუზოგავად იბრძოდნენ ნათელი მომავლისათვის.

1905 წლის რევოლუციის დამარცხებისა და რეაქციის მძვინვარების პერიოდშიც კალაძის წიგნის მაღაზია განაგრძობდა მუშაობას. მაგრამ 1907 წელს ბარნაბა კალაძე მოულოდნელად გარდაიცვალა. დაღუპვის წინაშე დადგა წვითა და დაგვიტ შექმნილი წიგნის მაღაზია, სამტრედიელ რევოლუციონერთა „კლუბი“, მაგრამ მაღაზიის მუშაობის გაძლოა იკისრა ბარნაბას შეუღლები — ფეროსინე ბერაძემ. აღნიშნული მაღაზია საბჭოთა ხელისუფლების პირველ ათეულ წლებშიც კეთილად ემსახურებოდა კულტურული რევოლუციის საქმეს.

ფეროსინე თუმცა ყოჩაღი ქალი იყო და უნარიანად უძღვებოდა მაღაზიის მუშაობას, მაგრამ წერილშვილი ქალისათვის მაინც მძიმე იყო უკვე გაზრდილი წიგნის მაღაზიის მოვლა-პატრონობა. ამიტომ მან დამხმარედ ახალგაზრდა ვალიკო ხარე-

ბავა მიიწვია. ვალიკო ჩხენიშელი ღარიბი გლეხის შვილი იყო, გამჭირავი გონებისა, ანგარიშსა და ადგილ-მითვობაში უნარიანი. იგი პაღე გაიწავა წიგნით ვაჭრობის საქმეში და მაღაზიის მენატრონე ქალის ერთგული თანაშემწე გახდა. სწავლას მოწყურებული ჰაბუკისათვის წიგნის მაღაზია ნამდვილ სკოლად იქცა, თვითგანვითარებას დაეწავა და რამდენიმე წელიწადში თითქმის მთელი ქართული ლიტერატურა გადაიკითხა.

ხუთი წელი იმუშავა ვალიკო ხარებავამ კალაძის წიგნის მაღაზიაში და ამ ხნის განმავლობაში იმდენი გამოცდილება შეიძინა, რომ დამოუკიდებელ საქმიანობას მოჰკიდა ხელი. წიგნებით გატაცებულმა ჰაბუკმა თავისი ცხოვრების მიზნად წიგნისადმი სამსახური გაიხადა და 1911 წლიდან დაბა სამტრედიის მეორე წიგნის მაღაზია შეემატა. ერთ დაბაში წიგნის ორი მაღაზია მაშინ (1910-ან წლებში) ძალიან იშვიათი ამბავი იყო.

ვალიკო ხარებავამ, წიგნის მაღაზიის გახსნასთან ერთად, ხორცი შეასხა კალაძეთა ოცნებას, რომ ახლო მომავალში სამტრედიისში პატარა სტამბა

კვლევი საუცხოელი ენიბნოზუკუაი

ანდრო თაყაძე

მოეწყობო. მან რუსეთიდან გამოიწერა „საბეჭდი მანქანა „ამერიკანა“, საჭირო შრიფტი და სხვა მოწყობილობა, და თავისი წიგნის მაღაზიის ერთ-ერთ ოთახში სტამბა გამართა. პირველ ხანებში თვითონ იყო ასოთამწყობიც, მბეჭდავიც და ამკინძველიც. შემდეგ კი თვითნაწავლმა მესტამბემ სხვებსაც შეასწავლა ეს ხელობა და მუშაობაში ჩააბა. მალე, სხვა წიგნებთან ერთად, მისსავე წიგნის მაღაზიაში სამტრედიისში დაბეჭდილი წიგნებიც გამოჩნდა: ს. რემონიძე — „სილუეტები“ (მოთხრობების კრებული), გამოცემა „შრომისა“, დაბა სამტრედიის, (1913 წელი); მალაქია ტოროშელიძე — „ილია ჭავჭავაძის შემოქმედება და მისი ნაწერების საერთო ხასიათი“, (1914 წელი) და სხვ. ამას გარდა, სტამბაში იბეჭდებოდა რვეულების გარეკანი, სათეატრო აფიშები და სხვ. ვ. ხარებავას წიგნის მაღაზიამ და სტამბამ ოცდაათიან წლებამდე იარსება. 1981 წელს, როცა სამტრედიისი სარაიონო გაზეთი („სოციალისტური შეტევა“, აშუამად „წინსვლა“) დაარსდა, ვ. ხარებავამ მაშინვე წერილობითი ანდერძით, სრულიად უსასყიდლოდ, თავისი სტამბა გაზეთის რედაქციას უანდერძა. სწორედ ვ. ხარებავას სტამბის ბაზაზე შეიქმნა სამტრედიისი არსებული, აშუამად საქმაოდ კეთილშობილი სარაიონო სტამბა.

ვ. ხარებავას წიგნის მაღაზია და მისი საქმაოდ კულტურული ოჯახი მუდამ კარდია იყო ყველა მაშინდელი ლიტერატორისა და თეატრალური მოღვაწისათვის, რომლებიც კი სამტრედიისი ჩამოდიოდნენ. ხარებავას ხშირი სტუმრები იყვნენ პოეტი ნოე ჩხიკვაძე, ვალერიან გუნია და იმ დროის სხვა გამოჩენილი ადამიანები. ხარებავას მაღაზიაში

ჰქონდა სპეციალური ალბომი, რომელშიც შთაბეჭდილებებს აწერინებდა მასთან სტუმრად მყოფ გამოჩენილ მოღვაწეებს. ამ ალბომში ვ. ხარებავასადმი მიძღვნილი ლექსი სათაურით „ვალიკოს“ ჩაუწერია პოეტ ნოე ჩხიკვაძეს. ჩემი მოწაფეობის დროს, როცა ვ. ხარებავა თავის სტამბაში წიგნების აკინძვას მასწავლიდა, მე თავად მიხანავს ეს ალბომი და ის ლექსიც წამიკითხავს. სამწუხაროდ, ალბომი დაიკარგა, მაგრამ აღნიშნული ლექსი უფროსად „თეატრსა და ცხოვრებაში“, ნოე ჩხიკვაძის გარდაცვალების შემდეგ, გამოუქვეყნებია ვალიკოს ახლო მეგობარს, ა. სხვიტორიძეს (იხ. „თეატრი და ცხოვრება“ № 6, 1925 წ.) მოგვყავს ადგილები ამ ლექსიდან:

შენს „ალბომში“ ყველა მუზებს მოუყრიათ თავი.
და საცოდავ აპოლოსთვის გაუყვრიათ ტყავი.
სადაც იყო და არ იყო სისულელის ბოდა,
ყველა აქ ჩაუნთხევით როგორც ძველი ცოდა...
მე რა გითხრა, რა გიმღერო, ჩემო მეგობარო,
რომ ამ უღვთო მგოსნებისგან გისხნა, მოგუხმარო?
ვიჩივებ მხოლოდ: შრომა, ბრძოლა, ძმობა,

სიყვარული, —
მიხნად გვამდეს, თუ გასურს კოფო ქვეყნად
სიხარული.

ეს ქვეყანა უკუღმართად არის აგებული,
მაგრამ მუდამ ბოროტება რჩება წაგებული!
ის კი, ვინც რომ შემეცნებოთ კპოვებს ახრთა შევას,
თავის თავში დამიგვიდრებს სრულქმნა-უკვდავებს.
და როდესაც, ჯერ ჰაბუკი, განვლი ღუშტორ გზასა,
მაგრამ მაინც არ უმუხთლებ შენს დარაგრულ

ძმასა,
მაშინ მოვალ და გიმღერებ უკვდავების ნანას,
და გაიგებ ახალ ყოფის, ახალ გამოცანას...

ვ. ხარებავა ხშირად ეხმარებოდა ღარიბ მოწაფეებს წიგნებითა და სასწავლო ნივთებით. სამტრედიისში მცხოვრები, უფროსობის გრაგოლ სიხარულიძე სიყვარულით იგონებს ვ. ხარებავას დახმარებას და დასძენს, რომ ახალგაზრდობის ერთ ჯგუფს, რომელთაც სიღარიბის გამო სკოლაში წასვლა არ შეეძლო, მან გვიჩინა მუშაობაში შესვლა, რათა წარმოებაში მუშაობასთან ერთად გვესწავლა. ეს რჩევა ჩვენთვის დიდად ხასარგებლო გამოდგა. ვალიკო ხარებავა გარდაიცვალა 44 წლის ასაკში, 1985 წელს.

ასეთი იყო სამტრედიელ წიგნის მოყვარულთა საქმიანობა; ჩვენი ხალხის განათლების და წინსვლის საქმეში მათაც თავიანთი წვლილი შეიტანეს.

ვარლამ კალაძე, ვალიკო ხარებავა.



ვინ და რატომ მოჰკლა ახალგაზრდა ქალი, რატომ მოჰკლეს მისი მოხუცი მამიდა? დუშეთის მილიციისა და პრაქტიკატურის მუშაკები გულდასმით ცდილობდნენ ამ საიდუმლოს ამოხსნას.

იქნებ სადმე გამოჩნდეს რამე კვალი, თუნდაც რაღაც ნიშანი, რომელიც მიგავხედვდებოდა, რომელსაც შეიძლება მიხვედეს!

და აი, უცებ ძიებისათვის ცნობილი გახდა ამბავი ზურაბ სარჩლიშვილისა, რომელსაც მეზობლისათვის შაკე ცხენი მოეპარა, პატრონს დიდხანს ეძებნა ცხენი და, ბოლოს, ცხენი კი არა, თავისი ჭაჭვი ეპოვნა ციხლის მამიდის — სოფიკოს ეზოში.

ამ ჭაჭვის ამბავმა ცხენის ქურდიც აპოვნინა პატრონს; სოფიკო აქ არაფერ შუაში არ იყო, მაგრამ ცხენის პატრონმა ეჭვი მის სიძეზე — ვახტანგ ჩიტაურზე მიიტანა. არც ვახტანგი გამოდგა დამნაშავე; ბოლოს ქურდიც იპოვნეს — ვახტანგის ბიძაშვილი ზურაბ სარჩლიშვილი. ამხანაგურმა სასამართლომ მას ცხენი დაბრუნებინა და სოფელში ამოსვლა აუკრძალა.

სარჩლიშვილის კვლავ ქუთაისში მიიგნეს, ავტოავარია მოეხდინა და კაცი გაეტანა, ამიტომ დაპატიმრებული იყო.

თბილისიდან დუშეთში ძიების დასასმარებლად ჩამოსული პოლდაროვნიკი ანდრო თორუაშვილი ძლიერ დაინტერესდა ამ ამბავით. სარჩლიშვილი ვახტანგის ბიძაშვილია, ხელობით შოფერი... თბილისიდან საკრამულამდე მანქანით ერთი საათის გზაა; ამრიგად, ერთი საათი საკრამულამდე, და ერთი უკან, თბილისამდე. შეიძლება ღამის ათ საათზე დაიძინო თბილისში, შუალაშისას წამოდგე, იმავე ღამით მოჰკლა ორი ადამიანი საკრამულაში და დილით ისევ თბილისში გაიღვიძო. ადიბი ხელთ გექნება, ან ვინ მიიტანს შენზე ეჭვს, მოსიყვარულე ქმარზე, რომელსაც ასე თავდავიწყებით უყვარს თავისი ღამაში ცოლი.

მაგრამ ეს მხოლოდ გუმანი და ვარაუდი იყო და ახლა იგი ფაქტებს უნდა დაედგინებინათ.

ძიებისათვის მალე ისიც ცნობილი გახდა, რომ ვახტანგ ჩიტაური ორიოდე თვის წინ ზუგდიდში იმყოფებოდა. გაგზავნეს კაცი ზუგდიდში და მან საოცარი ამბავი ჩამოიტანა: თურმე სამი შვილის მაქამ, ვახტანგ ჩიტაურმა ზუგდიდში უცოლო ბიჭად გაასალა თავი, იქაურ ქალიშვილს — ნელის დაუახლოვდა, ნიშნობაც გააჩაღეს და სწორედ სუფრაზე გამოირკვა, რომ სასიძოს ცოლიც ჰყავს და შვილებიც. აირია სუფრა, ჩაიშალა ნიშნობაც და ვახტანგმა გაქცევით უშველა თავს.

პირველივე მატარებლით მან თბილისს მოაშურა. სულ მალე საკრამულაში მოხდა მხეცური მკვლელობა: ცილა და მისი მამიდა გულგანგმირულები იპოვნეს თავიანთსავე ბინაზე.

* * *

იმ ღამეს, როცა საკრამულაში სოფიკო და ცილა მოჰკლეს, ცილას ქმარი ვახტანგ ჩიტაური თბილისში იყო, ავლაბრის ქუჩაზე, თავისი სიძისა და დის ბინაზე.

თეთრუაშვილმა იხანულა ეს ბინა. სახლი ერთ-სართულიანი იყო; გამოკითხა სიძეს და დას, მათ უთხრეს, რომ ვახტანგი იმ საღამოს ცხრა საათზე მივიდა მათთან, შეწარმოებული იყო და ჩქარა დაწვა. სად ეძინა? აგერ, იქით, განაპირა ოთახში. თეთრუაშვილმა დაათვალიერა ის ოთახი, მისი ფანჯრები ბაღში გადის, ბაღს ძალზე დაბალი ღობე აქვს შემოვლებული... დაწვა ცხრა საათზე და მაშინვე დაეძინა, მერე? დილით ადრე წამოდგა, ისაუბრა სიძესთან ერთად, შემდეგ სამმართველოში წავიდა, სადაც სამ საათამდე დაჰყო, იქ ვახტანგს დაპირდნენ — ორ კვირაში სამუშაოს გიშოვნიეთ.

თეთრუაშვილმა ყველაფერი ეს ჩაინიშნა უბის წინააქში და წამოვიდა.

სულ მალე ძიებისათვის ნათელი გახდა ისიც, რომ

მკვლელობის ღამეს მცხეთაში დააჯარიმეს უსაგზუროდ მიმავალი მანქანის შოფერი ზურაბ სარჩლიშვილი. საბუღალტროს მიხედვით, ზურაბი დილის ეჭვს საათზე დაბრუნდა გარეუბნი, მანქანა გარეცხა და შინ წავიდა.

* * *

ვახტანგი მზვიდად შეხვდა მილიციელს, რომელმაც მას წინადადება მისცა თან წაჰყოლოდა.

ასევე მზვიდად შევიდა მილიციის უფროსის კაბინეტში, სკამი შესთავაზეს. ჩამოჯდა, გადახედა ოთახში მყოფთ და იკითხა:

- როდემდის უნდა გააჭიანუროთ ეს საქმე? ბოლოს და ბოლოს, იპოვნით თუ არა მკვლელს?
- დაწყნარდით, ჩვენ ის უკვე ვიპოვეთ!
- მართლა? ვინ არის? — წამოვიარა ვახტანგი სკამიდან.

— ცილა მოჰკლა თავისმა ქმარმა, — წარმოთქვა გამომძიებელმა.

ვახტანგი თოფნაკრავივით გადავარდა უკან, მაგრამ იმავე წუთს გონს მოეგო, თავი შეიმაგრა.

- რას ამბობთ, რას? — იბღაღა მან, — რას ჭუბუნებით ღმერთს, საკუთარ სინდისს, ჩემს ობოლ ბავშვებს? როგორ გაიფიქრეთ, რომ მე შემძლო ჩემი ცილას მოკვლა? მისი აღმზრდელი მამიდის მოკვლა! ქვეყანა ჩალით დახურული ხომ არა გგონიათ? მიდით ჩემს სიძესთან, ავლაბრის ქუჩაზე, იქ

მართი საათი სიკვდილამდე

ნამდვილი ამბავი

გაიგებთ, რომ იმ დაწყევლილ ღამეს მე დილაზე იქ ვიყავი.

— ვიყავით იმ ქუჩაზე... ეგ კი არა, ზუგდიდშიც ვიყავით. მართლა, ნელიც ვინახულეთ, გახსოვთ, თქვენი დანიშნული მოკითხვა შემოგთავალა!

- რა გინდაო ჩემგან?
- მხოლოდ სიმართლე!
- ჩემი სიმართლე არა გჭერათ?
- კარგი, ახლა მოგვიყვები სად შეთანხმდით შენ და ზურაბი მანქანის თაობაზე. რომელ საათზე ვახვდით თბილისიდან, როდის დაბრუნდით, ვინ იყო მესამე, რომელიც თან გახლდათ?

მთელი სამი საათი იბრძოდა ვახტანგი, ტიროდა, ზღუქუნებდა, ბოლოს როცა მიხვდა, რომ ძიებამ თითქმის ყველაფერი იცოდა, შუბლზე დადენილი ოფლი მოიწმინდა და ჩაილაპარაკა.

- აგერ იყო. ყველაფერს გეტყვით. ოთახში მსხდომნი შეძრწუნებულნი უსმენდნენ მის ნაამბობს.

* * *

ზუგდიდიდან გამოქცეულმა ვახტანგ ჩიტაურმა მატარებელშივე გადაწყვიტა თავიდან მოეშორებინა ცილაც და მისი მამიდაც. გულდასმით მოიფიქრა, თუ როგორ აერსულებინა ეს საშინელი განზრახვა; საკრამულაში ჩამოსვლიდან ერთი კვირის შემდეგ თავისი უფროსი ვაჟიშვილი და მისი მომდევნო გოგონა მეზობელ სოფელში, თავის დედასთან წაიყვანა. მეორე დღეს თბილისში გაემგზავრა. გზად, ზაბესში, ძველ ნაცვობს გაუარა, იცოდა მას ორ-ლულაიანი სანადირო თოფი ჰქონდა.

— საიდან, როგორ, ჩემი ვახტანგ, რა ქარმა გადამოგადგო?

- სოფლიდან მოვდივარ!
- როგორ მოხდა, რომ მოგაგონდი?
- არასოდეს არ დამვიწყებია, მაგრამ ვეღარ აუვები საქმეებს. ახლა კი გადავწყვიტე გავუშვი-მეთქი. მოდი ერთი ძველებური გავისხენოთ, სანადიროდ წავიდეთ.
- წავიდეთ.

— დათვის ბუნავს მივაგენი, დღეს საღამოს ვესტუმროთ.

— ძალიან კარგი. იარაღი მოამზადეს, მასრები გატენეს. ვახტანგი თბილისს გაემგზავრა, მეგობარს შეხვედრის ადგილად მცხეთის ჯადასხვევი დაუნიშნა; თბილისში ჩამოსვლის უმალ კი ზურაბი მოინახულა.

— ხომ არ გაგიჭირდა რამე? — შეეკითხა ბიძაშვილი.

— მე არაფერი, ზურაბ, მაგრამ სოფიკო არ გისვენებს, ვიღაცას შენზე უწარმაზარი საჩივარი დააწერინა, ხვალ სასამართლოში წასვლას აპირებს.

- ცხენის თაობაზე, არა?
- აბა, სხვა რაზე უნდა იყოს?
- მოვკლავ მაგ წყუღულ დედაკაცს!
- იცი, ზურაბ, მეც მეტი აღარ შემძლია. ამალამ მანქანით წამომყვები, შენ ტყეში გაჩერდები, ერთი ძმაკაცი მყავს, მე და ის გავუწარმებდით, მერე უკანე ჩამოგვიყვანე. ხომ შეგიძლია?
- ოღონდაც ეგ ალქაჯი მომამოშორე და ჭოჭოხეთშიც წამოგყვები.

— მაშ თერთმეტ საათზე ავლაბრის ქუჩის ბოლოს დაგელოდები.

— აგერ იყო. ცხრა საათზე ვახტანგი დასა და სიძეს ეწვია, ათ საათზე დაწვა. როცა ყველამ დაიძინა, წამოდგა, ჩაიცვა, ღიად დატოვებული ფანჯრიდან გადაძვრა,

ღობეს გადაეგლო და დანიშნული ადგილისკენ გაქანდა, ზურაბი თავის მანქანით უკვე იქ იყო. შემდეგ მცხეთის გადასახვევთან კიდეც ერთი კაცი ჩახვეს მანქანაში, სადგურზე გავიდნენ და არყით დაითვრნენ.

თორმეტზე მეტი იყო, როდესაც დუშეთის გზას დაადგნენ. პირველ საათზე ტყეში გაჩერდა მანქანა, ზურაბი მანქანასთან დარჩა.

კილომეტრნახევარი ფეხით იარეს და ეზოს მიადგნენ.

- სად მივდივართ? — ჰკითხა მეგობარმა.
- ამ სახლის უკან დათვის ბუნავია.
- რას ამბობ ვახტანგ, სოფელში დათვის რა უნდა?

— დამიჭერე, რასაც გეტყვი — მიუგო ვახტანგმა, თავის სახლს მიუახლოვდა, კარი გარედან გაღარაზა, მერე ძირს ჩამოვიდა და ფანჯარას ქვა ესროლა.

- რას ჩადიხარ კაცო?
- ჩუმად იყავი, მომყვები...

ამხანაგი მიჰყვა. ოთახში შუქი აინთო და თოფმაც იგრილა. განგმირული ცილა გულაღმა გადავარდა. ვახტანგმა ჩახმახი კვლავ ფეხზე შეაყენა და თოფი ამხანაგს გაუწოდა.

- მეორეს შენ ესროლი!
- მე?

— ხმა, კრინტი, თორემ გაგათავებ!

თოფის გრილმა მეორედ გადაუარა მიძინებულ სოფელს და მერე ყველაფერი მიწწარდა.

ღამის სამი საათი იყო დაწყებული, როცა ბორკომოქმენდი ერთმანეთს დაშორდნენ. ვახტანგმა ფეხზე გაიხადა და ჩუმად გადაძვრა ღობეზე, მერე ასევე უხმაურად შეიპარა სიძის ბინაში, საიდანაც სამიოდე საათის წინ გაიპარა და ძილს მისცა თავი. მეორე დღესვე დაპატიმრეს მკვლელობის თანამონაწილეები — გიორგი ყრუაშვილი და ზურაბ სარჩლიშვილი. ისინი ყველაფერში გამოტუნდნენ.

სასამართლომ მკვლელებს მიუზღო, რაც ეკუთვნოდათ.

გრიგოლ გვახაბია

* დასასრული. იხ. უკრნ. „დროშა“, № 7.

ქადრის სამყაროს მეუფენი სულ ცხრანი არიან. მათგან რვა საქადრეო ტახტი ეჭირათ 1886 წლიდან დღემდე მსოფლიო ჩემპიონ ტიგრან პეტროსიანამდე. მაინც, ვინ არის ყველაზე დიდი მოჭადრაკე? ამ საკითხის დასმისას, გავითვალისწინოთ არა მარტო ჩემპიონები...

მრავალი წლის მანძილზე, დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებზე, მე ვხვდებოდი საუკეთესო თანამედროვე მოჭადრაკეებს და ყოველ მათგანს ვაძლევდი ამ ძნელ შეკითხვას.

— იქნებ, ლასკერი? მან ხომ მთელი 27 წლის მანძილზე არავის არ დაუთმო ეს მაღალი ტიტული. მისი „მეფობა“ გრძელდებოდა წარსული საუკუნის დამლევდომი, მიმდინარე საუკუნის დამდეგამდე... ან იქნებ ალექსანდრე ალიოხინი, რომელიც ფლობდა საჭადრაკო ტახტს სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. ან იქნებ ხოზე რაულ კაპაბლანკა იყო ჩემპიონთა ჩემპიონი, მან ხომ მთელ თავის სიცოცხლეში მხოლოდ 36 პარტია წააგო. ეს სამი სახელი ყველაზე ხშირად გაისმოდა ხოლმე ჩემი შეყითხვების პასუხად. ერთხელ ტარტაკოვერმა მათზე თქვა: „თუ ქადრაკი ბრძოლაა, მაშინ უდიდესი მოჭადრაკე იყო ლასკერი; თუ მეცნიერებაა, მაშინ — კაპაბლანკა; თუ — ხელოვნებაა, მაშინ, ეჭვს გარეშეა, ალიოხინი!“ ქვემოთ მომყავს პასუხები ჩემი „ანეკდოტისა“, რომლებიც მივიღე 27 გრან-მაისტერისაგან.

მიხეილ ბოტვინიკი: ჩემპიონებიდან, რომლებთანაც მე პირადად მისხდებოდა შეხვედრა, ჩემზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კაპაბლანკამ. დასაინანი, რომ მან მთელი თავისი დრო ქადრაკს არ მოახმარა.

მიხეილ ტალი: ჩემპიონთა შორის ყველაზე დიდი იყო ემანუელ ლასკერი, ვინაიდან მას შეეძლო შეუძლებელი. ის იყო განსაკვირვებელი ტაქტიკის მქონე მოჭადრაკე. ის იგებდა თითქოს და სრულიად უიმედო პარტიებსაც კი.

ტიგრან პეტროსიანი: ძნელია თქმა, თუ ვინ ჩაითვლება ყველაზე დიდ მოჭადრაკედ. ქადრაკის ისტორიას იმდენი გამოჩენილი ოსტატი ახსოვს, რომ ძალიან ძნელია მათგან უკეთესის გამოჩენვა.

იგორ ბონდარევსკი: ჩემის აზრით, კაპაბლანკა. მე აღტაცებული ვიყავი მისი პარტიებით ჯერ ისევ მაშინ, როცა პირველად დავიწყე ქადრაკის თამაში; ეს გრძნობა აქამდის გამომყვია.

ბორის სპასკი: უდიდეს მოჭადრაკედ მე ვთვლი ალექსანდრე ალიოხინს, იქნებ იმიტომ, რომ ის ჩემთვის და ბევრი სხვებისთვის რჩება გამოცანად.

ბობი ფიშერი: ჩემი აზრით, ჩემპიონთა ჩემპიონია პოლ მორფი. დარწმუნებული ვარ, ის რომ ცოცხალი იყოს, ყველას ზედარეულ დაამარცხებდა.

სვეტოსლარ გლუგოროვი: ჩემის აზრით, მორფი; თავის დროზე ის, ყველასთან შედარებით, ერთი თავით მაღლა იდგა!

ვიქტორ კორჩნო: ლასკერი. მას უყვარდა და შეეძლო ბრძოლა გამარჯვებისათვის; ხშირად ის იგებდა უკვე მაშინ, როცა პირველ სვლეს აკეთებდა, ხშირად კი, თამაშის პროცესში პოულობდა მოულოდნელ და დიდებულ გადაწყვეტილებებს.

მიგუელ ნაიდორფი: უეჭველად, ყველაზე დიდი იყო უბადლო კაპაბლანკა. მას არ ჰქონდა შესაძლებლობა მთელი თავისი დრო ქადრაკისთვის დაეთმო, მაგრამ თამაშობდა ყველაზე უკეთესად.

ბენტ ლარსენი: ყველა დროის ყველაზე საუკეთესო მოჭადრაკედ მე მიმაჩნია ფილიდორი.


ბორისლავ ივკოვი: ჩემი პასუხია — ალიოხინი. **დაიომ პორტოვი:** უეჭველად, ალიოხინი.

დვე პოლუგაევსკი: ამ კითხვას რომ უპასუხო, არ არის საჭირო იცოდე ჩემპიონის პარტიები, არამედ საჭიროა შეხედო მას თამაშის დროს; ცოცხალთა შორის, ჩემი აზრით, ყველაზე უდიდესია ბოტვინიკი.

ლასლო საბო: შესაძლებელი რომ იყოს სახელგანთქმული მოჭადრაკეების ჩამწყვრთვა, მე ვერ შევძლებდი გამომეყო რომელიმე მათგანი. მე დავასახელებდი ოთხს: ალიოხინს, ლასკერს, კაპაბლანკას და ბოტვინიკს...

დრაგოლიუბ ჩირიაჩი: შეკითხვა არ არის რთული. ისტორიაში ყველაზე საუკეთესო მოჭადრაკედ მე ვთვლი ფიშერს. ახლანდელ ქადრაკში, რომელიც განუზომლად უფრო რთულია, ვიდრე ალიოხინისა და კაპაბლანკას დროს იყო — ბობი სრულყოფილებაა.

ლიუდვიკ პახმანი: ყველაზე უდიდესი მოჭადრაკე,



რასკვირველია, სტენიცი, მან შექმნა თანამედროვე ქადრაკი და მისი სტრატეგიული საფუძვლები; და კაპაბლანკა, რომელიც სავსებით განსაკუთრებული მოვლენა იყო.

მიროსლავ ფილიპი: ყველა მონაცემის მიხედვით — კაპაბლანკა! **ლარი ევანსი:** ჩემის აზრით, ფიშერი, თუ შეიძლება და გადალახავს ცალკეულ „ემოციურ“ ზღუდეებს.

რობერტ ბირნი: ყველაზე უდიდესი მოჭადრაკეა ლასკერი, როგორც უბადლო ტაქტიკის მქონე. ის ერთნაირად ძლიერი იყო, როგორც თავდაცვაში, ისე თავდასხმაში, თამაშის განვითარების ყველა საფეხურზე.

დონალდ ბირნი: ემანუელ ლასკერი. ხოლო რატომ არის ყველაზე დიდი, ეს მოკლედ ვერ ითქმის.

ალბერტო აკელი: უდიდესი ტალანტი — კაპაბლანკა იყო, ხოლო ყველაზე დიდ წარმატებებს მიაღწიეს ჩემპიონებმა ალიოხინმა და ლასკერმა. ეს „სამეფო“, ჩემი აზრით, ყველაზე საუკეთესო იყო ქადრაკის ისტორიაში.

არტურო პომარი: უდიდესი იყვნენ და რჩებიან კაპაბლანკა და ალიოხინი. **იშტვან ბილგე:** შედეგითაა მიხედვით, ალიოხინი. ის თამაშობდა ისე, როგორც ახლა თამაშობს ტალი. ისინი უდიდესნი არიან ჩემპიონთა შორის.

გიორგი ტრინავოვი: ალიოხინი. მას ჰქონდა ყველაზე კარგი შედეგები. **ფრიდრიხ ილაფსონი:** ლასკერი — ეს იყო უფუნტასტიკურესი ადამიანი მათ შორის, ვისაც კი ოდესმე ქადრაკი უთამაშნია. ყოველი მოწინააღმდეგისათვის ის მოძებნიდა ხოლმე სწორედ იმ ვარიანტს, რომელიც ამ მოწინააღმდეგეს დამარცხებდა მოუტანდა. ახლა ყველაზე უდიდესი მოჭადრაკეა ფიშერი.

ის ისე კარგად ვერ ერკვევა თავის მოწინააღმდეგეებში, როგორც ლასკერი ერთ-ერთად, მიუხედავად ამისა, თამაშობს მშვენივრად, ლასკერზე უკეთესადაც კი.

ვლასტიმირ გორტი: როცა მე ანალიზს ვუკეთებ ალიოხინის პარტიას, ჩემს წინაშე წარმოსდგება მთელი ცხოვრება. მისი პარტიები — სანიმუშოა ყოველი მოჭადრაკისათვის.

ალექსანდრე შატანოვი: ალიოხინი — ესაა საჭადრაკო ხელოვნების მწვერვალი, ყველა დროის ყველაზე საუკეთესო მოჭადრაკე!

ამრიგად, გროსმაისტერთა ხმის უმრავლესობა მიიღო მსოფლიოს სამმა ჩემპიონმა — ალიოხინმა, ლასკერმა და კაპაბლანკამ. მთელი თავიანთი სიცოცხლის მანძილზე ეს სამი მოჭადრაკე ტურნირებში ერთმანეთს შეხვდნენ მხოლოდ ორჯერ: პეტროგრადში, 1914 წელს და 10 წლის შემდეგ — ნიუ-იორკში. ორივეჯერ ადგილები მათ ასე გაინაწილეს — ლასკერი, კაპაბლანკა, ალიოხინი. მაგრამ მატჩში ჩემპიონის ტიტულს მოსაპოვებლად ალიოხინმა დაამარცხა კაპაბლანკა, ხოლო კაპაბლანკამ — ლასკერი.

მაგრამ... რიტერესობა იყო არ იქნება აღნიშნოთ, რომ ქვეყნად იყო ერთი მოჭადრაკე, რომელმაც თავისი პირველი შეხვედრები ლასკერთან, კაპაბლანკასთან და ალიოხინთან დაამთავრა გამარჯვებით. ეს იყო ა. რუბინშტიეინი, ერთ-ერთი პრეტენდენტი მსოფლიო პირველობისა ჩემი საუკუნის დასაწყისში.

დამირი ბელიცა
იუგოსლავია

ფოტოჟურნალისტის იუბილე

70.000 ფოტოსურათი... ათეული წლები დასჭირდა მათს გადაღებას. ცნობილი ფოტოჟურნალისტის რუბენ აკოფოვის მდიდარი ფოტოარქივი მოიცავს თანამედროვე საბჭოთა საქართველოს წინსვლისა და წარმატების ამსახველ ექსპონატებს. ამას გარდა, აქვია სურათები, რომლებზეც აღბეჭდილია ჩვენი წარსულის უარესად საინტერესო ეპიზოდები, ჩვენი ძველი ძეგლების ზედები, საქართველოს ისტორიული ღირსშესანიშნაობანი. თუ რაოდენ დიდი ამაკი დასდო რუბენ აკოფოვმა ჩვენი კულტურის შესწავლის საქმეს, ამის ნათელსაყოფად ნაკმარისია გაეცნოთ იმ შთაბეჭდილებებს, რომლებიც ქართველ მეცნიერებს აღუბეჭდავთ ფოტოხელოვნების აღზომში. აქ არის კორნელი კეკელიძის, აკაკი შანიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი წერეთლის, ნიკო ბერძენიშვილის,

გიორგი ლეონიძის, იოსებ გრიშაშვილის, შალვა ამირანაშვილის და სხვათა გამოხმაურებანი, აღსავსე მადლობის სიტყვებით იმ თავდადებული შრომისათვის, რომელსაც რუბენ აკოფოვი ეწევა წლების მანძილზე. შარშან დღიდან რუსთაველის საიუბილეო დღეებში ირ. აკოფოვმა მოაწყო ამ ბარდისადმი მიძღვნილი ფოტორეპროდუქციების გამოფენა, რომელმაც დიდძალი მკითხველი მიიზიდა. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა ამას წინათ აღნიშნა ფოტოხელოვნების რუბენ აკოფოვის დაბადების 70 წლისთავი. საიუბილეო საღამოზე სიტყვებით და მოგონებებით გამოსულმა ჟურნალისტებმა, მწერლებმა, ხელოვნების მუშაკებმა გულთბილად ილაპარაკეს ამ თავდადალი და დაუცხრომელი ადამიანის მოღვაწეობაზე.



ყოვონ უუჯ-რელოცაი

კატონისთავა

ჩაუხა იყოს!

ვაკეში, ილია ჭავჭავაძის პრესპექტზე კაფეში შევედი. გამყოფდელ ქალს სამშანეთიანი მივაწოდე და პაპირისი „უაზბეგი“ ვთხოვე. მან ფული გამოდებულ ყუთში ჩააგდო, პაპირისი მომაწოდა და მერე ზუსტად 70 კაპიკი გადმომიტვალა.

— ქალბატონო, მე სამშანეთიანი მოგეცით? გამყოფდელმა უხელო აუწია ხმა. — შეხეთ ამ აფერისტის ღმერთო ჩემო, ეს რა უბედურებაა, ყველა წაგლეჯა. კაფე ახალგაზრდებით იყო სავსე, ყველამ ჩვენს-კენ გამოიხედა.

— მე დავინახე, რომ ამ კაცმა სამშანეთიანი მოგაწოდათ! — თქვა ხანში შესულმა კაცმა, რომელიც რიგში ჩემს უკან იდგა.

— შენ ვილა ხარ? პირი გაქვთ შეკრული, არა? — ახლა მას შეუტია, გამყოფდელმა ქალმა.

ხალხი უკვე ღიმილით მიცქერის, უხელო გამოვვარდი კაფედან და შინისაკენ სირბილით წავიდი.

მივედი შინ, მაგრამ ვეღარ მომიხსენია. ორი მანეთის დეკარგვა კი არ მაწუხებს, არამედ ის, რომ იმ ქალმა ასე საჭაროდ გამომაბუნა, ახუჩად ამიგდო, თვითონ გამძარცვა და აფერისტადაც მომიანთლა. ხან გაზეთი ავიღე, ხან წიგნი, ვეღარ ვცითხულვო. წამოვდექი და ისევ იმ კაფესკენ გავწიე. დირექტორთან შევედი და ყველაფერი მოვუხუციე. მომიხსენა და მითხრა:

— რა ვქნა ძმაო, განა შენ პირველი ხარ... ასეთი ოინები იციხს მაგ ქალმა.

ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, შინ თუ გარეთ, ქუჩაში თუ დაწესებულებაში ჩვენ ბევრი კარგი და სასიხარულო ამბის შემსწრენი ვხდებით, ბევრჯერ ცუდას და უსიამოვნო შემთხვევასაც გადავყურებით ხოლმე. რედაქცია სთხოვს მკითხველებს მოგვეწერონ ასეთ ამბებზე; მოვაწყობთ მკითხველთა ერთგვარი კლუბი, სადაც ჩვენ გავუზიარებთ ერთი-მეორეს ჩვენს ფიქრებს, შთაბეჭდილებებს, რომლებიც აღძვრიან ადამიანს ცხოვრების ამა თუ იმ კონკრეტული შემთხვევის გამო. დასაწყისისათვის ჩვენ ვაქვეყნებთ მკითხველთა ორ წერილს ჩვენი სარედაქციო ფოსტიდან.

მერე დაუმატა: — იცი რა, მეც ამეგსო მოთმინების ფიალა. დაწერე ყველაფერი, მოაწერე ხელი და დამიტოვე.

დავჭეკი და იმ ცხელ გულზე ყველაფერი დავწერე.

გავიდა ერთი კვირა. ეს ამბავი კიდევ დამავიწყდა. ფიზიკარ კაბინეტში, გაიღო კარი და ის ქალი შემოვიდა, დაბალპით გადმოსდის ცრემლები.

— მიშველეთ, შენი ჭირიმე... სამი ბავშვი მყავს... შიმშილით დამეხსოვებინა...

— რა მოხდა, რა დაგემართა?

— მოხსენს. წამომყვები უფროსებთან, ამა, შენი ორი მანეთი.

ფული, რა თქმა უნდა, არ გამოვართვი, წაყოლით კი წავეცი.

პუშკინის ქუჩაზე წამიყვანა, თბილგაჭრობის გამგეობაში. უფროსს ავუხსენი ყველაფერი და შევებეწე — აბატი-მეთქი.

— მომიღო ბოლო ამ თქვენმა „გულმოწყალებამ“, — გაბრაზდა უფროსი, — მე თქვენ შორიდან ვიცილობთ. ძალიან მიკვირს, რომ ასეთ რამეს მთხოვთ.

— სამი შვილის დედაა...

— სამი არა, თერთმეტი ვითქვა ბარემ, შეცრუბენტელავ, — უთხრა უფროსმა ქალმა, — ერთბაშად გმირი დედის მედალს მიიღებდი, — მერე მე მომიბრუნდა — სამი კი არა, ერთიც არა მყავს ამ სამიწეს...

ზუსტად ნახევარი საათი ვებეწე, როგორც იყო მოვტევე უფროსი. დამპირდა, სამუშაოზე აღვადგენო.

დამშვიდებული გამოვბრუნდი უკან. მეორე დღეს გაიღო კარი და ისევ ის ქალი დამადგა თავზე.

— ქალო, ახლა რაღა გინდა? „სამი შვილი“ აღარ უხსენებია.

— სამუშაოზე აღმადგინეს, მაგრამ საყვედური გამომიცხადეს. წამოდი პუშკინზე, მოახსენებინე...

— ქალო, შენ სინდისი არა გაქვს?

— შენი ჭირიმე, პატივისცემა ჩემზე იყოს!

— ღმერთმა შენც შეგარცხვინოს და შენი პატივისცემაც... ატირდა. რა უნდა მექნა. დავიხურე ქული და ისევ წავეცი. ამჯერად, ვეღარაფერი ვერ გავაწყე. საყვედური არ მოუხსენს.

როცა ამხანაგებს ეს ვუამბე, მითხრეს — ძალიან ცუდად მოქცეულხარ, არ უნდა წაპყლოლოდიო! რა ვიცი, იქნებ მართლა ცუდად მოვიქციე?

გიორგი ასლანიკაშვილი
მასწავლებელი

ჩაუხა, უხელო

კვირა დილაა, თბილისის აეროდრომზე ვართ, მოსკოვში უნდა გავფრინდეთ.

უცნო დიქტორმა გამოაცხადა, რომ უამინდობის გამო თვითმფრინავი დაიწვიდა.

მეტი რა გზაა, უნდა მოვიცადოთ. გავიდა ერთი საათი, ორი, სამი...

აღარ ვიცი რა დრო როგორ მოვკლავთ. აეროდრომის დარბაზებშიც და ეზოშიც აუარებელ ხალხს მოუყურია თავი. აქვე არიან თბილისელი ფეხბურთელები, ისინიც მოსკოვში მიფრინავენ, ზეგ მოსკოვის არმიელთა გუნდს უნდა შეხვდნენ ლუჟნიკებში. აქვე არიან მოსკოველი მწერლები და მეცნიერებიც, შინ ბრუნდებიან რუსთაველის იუბილეს შემდეგ.

ჩვენთან ერთად მოდის ერთი თბილისელი ქალი, პროფესიით მწერალი-ჟურნალისტი.

უცნო რადაცაღე დაგვჭირდა და მოვიკითხეთ. არსად ჩანდა. ძლივს ვიპოვეთ. ვხედავთ მოსადიდელ დარბაზში უცნობ დედაბერს მოსკოვშია გვერდით, რადაც ქალაქის ატრიულებს ხედავთ, ირგვლივ ხალხი ახვევია. ჟურნალისტი ქალი ჩასტყერის იმ ქალად, ზედ მისამართი აწერია, მაგრამ წაკითხვა არ გინდა? ჯერ ერთი, ბატიფეხურად არის ნაწერი, და მეორეც, მოხუცს უბეში დიდხანს სდებია და ქალაქი ისე გაცრეცილა, რამის ამოკითხვა შეუძლებელია. ზოგი გურჯაანის რაიონს კითხულობს, ზოგი გორის და ა. შ.

სოფლის სახელიც ასევე გაურკვევლად სწერია. ვერ გაიგებ ცინაგარაა თუ რადაც სხვა. იქნებ წინაგორაა. არის კი სადმე ასეთი სოფელი?

- თქვენ ხომ არ იცით ხად არის ეს სოფელი?
- არ ვიცი, ქალბატონო!
- თქვენ? თქვენ? თქვენ?
- არავინ არ იცის.

თურმე ეს მოხუცი ქალი რუსეთიდან ჩამოსულა. ამ სოფელში ქალიშვილი მყოლია გამოთხოვილი. ნათესავები დაპირებულნი იყვნენ აეროდრომზე დახვედროდნენ. არავინ არ დახვდა, მეორე დღეა ზის ეს მოხუცი აეროდრომის დარბაზში და არ იცის საით წავიდეს.

— რა ვქნა, დღეს კვირაა დაწესებულებაში არავინ არ იქნება, — წუხს ჟურნალისტი-ქალი, — უცნებ წამოვდგა და ტელეფონისაკენ გასწია. თავის ბინაზე დარეკა. მისმა ქალიშვილმა უპასუხა.

— იშოვნე მანქანა და აეროდრომზე გამოდი, — უთხრა დედამ შვილს, — მოხუცი ქალი უნდა წაიყვანოს შინ, ჩვენთან. ხვალ მიდი ჩვენს დაწესებულებაში... უთხარი ყველას, როგორც გინდა მოახერხეთ და გაიგეთ ხად მიდის ეს ქალი. დარტყეთ გორში, გურჯაანში, ახმეტაში, მთიკითხ-მოკითხეთ, სანამ ამ სოფელს არ იპოვით, მანამდე ქალმა ჩვენთან იცხოვროს.

ჟურნალისტი ქალი აეროდრომში თავისი მისამართი დატოვა, ვინიცოდა ნათესავები აქ გამოჩენილიყვნენ, კვალი არ დაეკარგათ. სულ მალე მისი ქალიშვილიც მოვიდა და მოხუცი შინ წაიყვანა.


ის იყო თვითმფრინავში ჩასხლომაც გამოაცხადეს. უკვე თვითმფრინავში იმ ჩვენს ნაცნობ ქალს-კორესპონდენტი მიუახლოვდა და უთხრა:

- ქალბატონო, მე კორესპონდენტი ვარ, ნება მომეცით პატარა წერილი დავწერო ამ ამბავზე.
- არა, შენი ჭირიმე, მე თვითონ კორესპონდენტი ვარ და ვიცი, რომ ამაზე არ ღირს წერა.
- რატომაც არა, მაგალითი იქნებოდა...
- არა, არა, ეს უგაზეთოდაც უნდა იცოდეს ყველამ. გარწმუნებთ არ ღირს. დამადლებული მაღლი — მაღლი აღარ არის. ეს ჩუმი უნდა, უხელო როდ.

ასე დამთავრდა მათი საუბარი თვითმფრინავში.

ალ. ხერხეულიძე

ვოგვიტხროზს
კლავდიუს
ელიანს



ჩვენი უფროსი შვიტხროზი კარგად იცნობს ჩვენს მუდმივ განყოფილებას — „ჭრელ-ჭრელი ამბები“. აქ გვინდა აღვნიშნოთ შემდეგი: პირველი წიგნი ამ სათაურით დაწერა რომაელმა მწერალმა და რიტორმა კლავდიუს ელიანმა, რომელიც ცხოვრობდა II საუკუნის ბოლოს და III საუკუნის დასაწყისში (დაბადებისა და გარდაცვალების ზუსტი თარიღები უცნობია); ელიანი წერდა ბერძნულ ენაზე. სვიდას ლექსიკონის ცნობით, მას უწოდებდნენ „ტკბილმთვანსა“ და „ოქროპირს“. გარდა „ჭრელ-ჭრელი ამბებისა“, ის იყო ავტორი წიგნისა „ცხოველთა ბუნებისათვის“, რომელშიც ელიანმა, სხვათა შორის, პირველმა მიუთითა დელფინების საკვირველ ჩვევებზე, მათს კეთილშობილურ საქციელზე, რაც დღესაც დიდ გაცემას იწვევს; ანტიკური სამყაროს ვითარების და იდეურ-მორალური ატმოსფეროს გაცნობის თვალსაზრისით ელიანის წიგნს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სხვათა შორის, ელიანი მოგვითხრობს ჩვენს შორეულ წინაპრებზე — კლახებზე, მითაზე, რომელიც მუშკების ანუ მოსხების მეფე იყო და ა. შ.

ელიანის „ჭრელ-ჭრელი ამბები“ თარგმნილია მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე. რუსულ ენაზე იგი პირველად თარგმნეს 1778 წელს.

ჭვემთ ჩვენ გაცნობთ ცალკეულ მინიატურებს ელიანის წიგნიდან. მისი „ჭრელ-ჭრელი ამბები“ შესდგება 14 წიგნისაგან. ჩვენს თარგმანში რომაული ციფრებით აღნიშნულია წიგნის ნომერი, ხოლო არაბულით — მინიატურის ნომერი.

ელიანის „ჭრელ-ჭრელი ამბები“ ქართულ ენაზე ჰვედრდება პირველად, მინიატურები დასათარებულბა ჩვენს მიერ.

ჰველაზი
ჰკვიანი
ბაჰაჰამი (I, 8)



ბუნებაში ბევრ საოცარ რამეს წააწყდებით: ეს თქმის კერძოდ ეგვიპტის ბაჰაჰამზე, რომლებიც ძალიან ჰკვიანები არიან და ეშმაკობით ბევრად სჯობიან თავიანთ სხვა თანამოძმეებს; როცა ეგვიპტის ბაჰაჰამი ნილოსის მრისხანე წყლის გველს დაინახავს, იგი სწრაფად გადაკენებს ხოლმე ლერწმის მოზრდილ ყლორტს, პირში გარდი-გარდმო გაიჭრის და მაგრად მოუტერს ყბებს. წყლის გველს აღარ შეუძლია გადაკლამოს ბაჰაჰამი; ჰვეწარმავალს უნარი არა

აქვს ისე ფართოდ გააღოს ხახა, რომ შიგ პირში ლერწამგაჩრილი ბაჰაჰამი ჩაეთოს. ასე ამარცხებს ბაჰაჰამი ეშმაკობა ნილოსის გველის ძალას.

კიბო —
ცოფის
წამალი (I, 7).



წარმოიდგინეთ გარეულ ღორებსაც კი შესძლებიათ უმკურნალონ თავიანთ თავს. თუ გარეულმა ღორმა, სხვა საქმელთან ერთად, უნებლიეთ შეჭამა ლენცოფა და მოიწამლა, იგი ინსტიქტით ეძებს ხსნის გზას. მოწამლული ღორი, უპირველეს ყოვლისა, მაგრად დაძაბავს ხოლმე უკანა ფეხებს, რათა დააჩქაროს კრუნჩხვის დაწყება. ამის შემდეგ იგი მდინარისაკენ მიეშურება, კიბოებს იჭერს და ხარბად ნთქავს. ეს კიბოები, როგორც ეტყობა, მოწამლის უებარი წამალია და ღორები მალევე გამოჯანმრთელდებიან ხოლმე.

ირამი და
მორიელი (I, 8)




მორიელი ირმისათვის ისევე საშიშია, როგორც აღმზინისათვის: მორიელისაგან დაგესილი ირემს სწრაფი სიკვდილი მოეღის. მაგრამ საქმარისია სასიკვდილოდ განწირულმა ირემმა შეჭამოს სურო, რომ მორიელის შხამი ძალას ჰკარგავს და ირემი მალევე გამოკეთდება; ირმისათვის უებარი წამალი — სურო, აუცილებლად ველური ჭიშისა უნდა იყოს.

იწნურა ანუ
მურალა-ჰკვიანი
(I, 10)



კუნძულ კრიტოსის მკვიდრნი საუკეთესო მსროლელები არიან და უმოწყალოდ ავლებენ მუსრს მიუვალ მთებზე მოხალაზე გარეულ თებებს. მონადირის ხელით დაჭრილი ცხოველი თავის გადასარჩენად იფურას ანუ მურალა-ჰკვიანის მოსაძებნად მიეშურება. ამ მცენარის შეჭმის შემდეგ თითქოს სასწაული ხდება და თხის ტანში გაჩხირული ისრები, თუ ისინი ძლიერ ღრმად არ არიან შესული სხეულში, მოძრაობის დროს, ნელ-ნელა ცვივან მიწაზე.

ზინაზველების
წინასწარ-
მეტყველება
(I, 12).



როგორც გადმოვიცხადებთ, ჰიანჭველებს იურამე აქვთ ისეთი ინსტიქტი, რომ მეუღლით წინასწარ განჭვრიტონ მომავალი. მოუსავლიან წლებში, შიმშილის დადგომამდე ბევრად უფრო ადრე, ისინი თავიანთ „ბედლებში“ განსაკუთრებული მუყაითობით იმარაგებენ ხორბალსა და სხვა მარცვლეულობას, რომლებსაც შემდეგ საქმელად იყენებენ.

გედები
მბრძინან
არწივებს
(I, 14)



არისტოტელე აღნიშნავს, რომ გედი გამოირჩევა არა მარტო თავისი სილამაზით, არამედ საოცარი გაბედულებითაც. გედები არც თუ ისე იშვიათად უბრაზდებიან ერთმანეთს და საქმე ისეთ შეხლა-შემოსლამდე მიდის, რომ ბრძოლა ერთი მათგანის სიკვდილით მთავრდება. იგივე არისტოტელე გადმოგვცემს, რომ გედები, თავდაცვის მიზნით, ხშირად არწივებსაც კი უმართავენ გააფთრებულ ბრძოლას. ყველასთვის ცნობილია, რომ გედები განთქმულნი არიან თავიანთი სიმღერით. მართალია, მე არ მომსმენია მათი სიმღერა, შესაძლოა იგი არც სხვა ვინმეს მოუსმენია, მაგრამ ყველას სჯერა, რომ გედები მღერავენ. მიზნით, რომ ამ ფრინველის ხმა განსაკუთრებით შესანიშნავი და ტკბილმთვანია სიკვდილის წინ. გედებს შეუძლიათ თავისუფლად გადასერონ ზღვა, ისინი ხშირად ოკეანის ნაპირ-ნაპირ მიფრინავენ და მათმა ფრთებმა არ იციან რა არის დაღლა.

ცხენი, როგორც
ხელოვნებისმცოდნე
(II, 2).



აღიქვანდრე მაკედონელმა დიდხანს უცქირა თავის პორტრეტს, რომელიც სახელგანთქმულმა მხატვარმა აბელენმა დახატა. იმპერატორი უკმაყოფილო დარჩა: არა მგავსო. მაგრამ როცა აღიქვანდრე მაკედონელის ცხენი სურათზე. გამოსახულ პატრონს ისეთივე ხალისიანი ჰესფინით მიეხალმა, როგორც ცოცხალ აღიქვანდრეს ესაღმებოდა ხოლმე, აბელენმა შესძახა: „მბრძანებელო, შეხედეთ ცხენი ხელოვნების უკეთესი მცოდნე აღმოჩნდა, ვიდრე თქვენ!“

მამლების ჩხუბი
(II, 28)



ათენელებმა, სპარსელებზე გამარჯვების შემდეგ (480 წ. ძვ. წ. აღ.) გადაწყვიტეს, რომ ყოველწლიურად თავიანთ თეატრში მოეწყუთ მამლების ჩხუბი. მე ავიხსენით, რატომ იქნა მიღებული ასეთი გადაწყვეტილება. როცა თემისტოკლეს მტრის წინააღმდეგ მიჰყავდა ათენელების ჯარი, მან გზაზე ორი მოჩხუბარი მამალი დაინახა. ხარბალმა შეაჩერა ჯარისკაცები და ასეთი სიტყვით მიმართა მათ: „შეხედეთ მამლებს, ისინი იბრძვიან არა თავიანთი სამშობლოსათვის, არა თავიანთი ღმერთებისათვის, არა წინაპრების საფლავებისათვის, ისინი ისხლს ღვრიან არა იმითომ, რომ მოლოცონ თავისუფლება ანდა თავიანთი ბავშვების ბედნიერება, არამედ იმითომ, რომ ბრძოლაში გაიმარჯვონ და ვაჟბატონი სახელი მოიხვეჭონ“. ამ სიტყვებმა ათენელებს ძალღონე შემატა. ისინი გაბედულად ეპყვთნენ მტრს. ამის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ ყოველწლიურად გაემართათ მამლების ჩხუბი; როგორც ფიქრობდნენ, მამლების ჩხუბს შეეძლო მცირე ძველებურად უნდა აღეფრთოვანებინა ათენელები.

როდის შეიძლება
ღვინის სმა?
(II, 28)



მასალიტებს ასეთი კანონი ჰქონდათ: ქალს არა ჰქონდა უფლება დაეღვინა ღვინო და მთელი თავისი ცხოვრება მხოლოდ წყლით უნდა დაკმაყოფილებულიყო. თეოფრასტი გვამცნობს, რომ ასეთივე კანონი არსებობდა ბილეთშიც და აქაური ქალები მკაცრად იცავდნენ მას. რომშიც განუხრებლად ტარდებოდა მსგავსი კანონი — ღვინოს არ სვამდა არც თავისუფალი ქალი, არც მონა ქალი და არც კეთილშობილი რომაელი მამაკაცი, ვიდრე იგი ოცდათუთმეტი წლსა არ შესრულდებოდა.

პირველი, მამრამ
სამარცხენი
აღვილი (II, 31)




როგორც გადმოგვცემენ, უძველესი ცხოვრება არ შეეძლოთ სირაკუსელ ტირანს დიონისეს, მის ვაჟ ვილიებს, აგრეთვე, ალკებ მაკედონელს და ათენელ დიოტომს, რომელსაც შეუსვენებლად შეეძლო მთელი დღე ეცვა ღვინო. ლაკედემონელი კლეომენი, როგორც გადმოგვცემენ, არა მარტო

ბევრს სვამდა, არამედ, იმავე დროს, მისდევდა ცუდ სკიოთურ ჩვეულებას — ღვინოში წყალს არ ურევდა და გაუზავებლად სვამდა. ასევე მოგვიტარებენ, რომ სიოსტელი პოეტი იონე ღვინის სმაში ხარბი და თავშეუკავებელი იყო. აღტქსანდრე მაკედონელმა თნადოთში ყოფნის დროს მოაწყო შეჯიბრება, თუ ვინ უფრო მეტს დალივდა. ამ შეჯიბრებაში გამარჯვებულისათვის დაწესებული იყო ჯილდო — ერთი ტალახტი ოქროს, შეროდ აღვიღებ გამოსულიათვის — ოცდაათი შინი, მესამე ადგილზე გამოსულიათვის კი ათი შინი. ღვინის სმაში გაიმარჯვა პროპეტე. მისთვის, ვინც უფრო მეტ ღვინოს დალივდა ე. წ. თანის დღესასწაულზე, დიონისე სირაკუზელმა ჯილდოდ დაწესა ოქროს გვირგვინი. ეს გვირგვინი პირველად დასაკუთრა ქალაქდონელმა ქსენოკრატემ. შეჯიბრებიდან დაბრუნების შემდეგ ქსენოკრატემ, ძველი ტრადიციის მიხედვით, ჯილდოდ მიღებული გვირგვინით შეამკო სახლის კარებთან აღმართული ბერძენის ქანდაკება. ამ ქანდაკებასთან აწყობდა იგი ღვინის სმის შეჯიბრებაში საჩუქრად მიღებულ უვავილებსა და დაფნის გვირგვინებს.

ცნობილია, რომ ფილოსოფოსები დაკვიდრი და ტომონი ძალიან ბევრს სვამდნენ. ღვინის თაყვანისმცემელთა შორის, როგორც ბეროდოტე გადმოგვცემს, იყო ეგვიპტელი ამასისი, კორინთელი ნიკოტელი, კრონტის შვილი სკოპასი, მეფე ანტიოქოსიც დიდ სიყვარულს იჩენდა ღვინისადმი. ამის გამო ხდებოდა, რომ ვის სამეფოს ფაქტიურად მართავდნენ კიბროსელები არისტო და ტემისონი, ანტიოქოსი კი მხოლოდ სიტყვიერად იწოდებოდა


მეფედ. ღვინისადმი დაუოყებელი წყურვილი გახდა ილირიის მეფის არგონის უდროო სიკვდილის მიზეზი. ილირიის მეორე მეფეც; გენტიც ძალიან ბევრ ღვინოს სვამდა. ღვინის სიყვარულმა ეს მეფეც დაუპავს კარამდე მიიყვანა. ღვინის დიდ მოტრფილთა შორის აუცილებლად უნდა დავასახელოთ გამოუსწორებელი ლოთი, კაპადოკიის მეფე ოროფერნე; ქალებიც, რომლებიც ბევრ ღვინოს სვამენ, შესაზარნი არიან, მაგრამ მათ შესახებაც უნდა ითქვას ორიოდ სიტყვა. კლეო ღვინის სმის დიდი მოტრფილე იყო. ეს ქალი ღვინის სმაში ეჯიბრებოდა არა მარტო დიაცებს, არამედ სახელმწიფოებელ ლოთ კაცებსაც, ერთმანეთის მიყოლებით ათრობდა უველას. ამით მან დაიმკვიდრა პირველი, მაგრამ ჩემი აზრით, სამარცხვინო პირველი ადგილი.



ვინ დასოცა მელას შვილები (V, 21).

ცალკეული წყაროები ადასტურებენ, რომ თქმულება მელაზე — სიცრურეა; მან კი არა, თურმე კორინთელებმა დახოცეს მელაზე შეიღები და მითი კოლბი ქალის მუხანათობაზე, შეთხზა ევროპიდემ კორინთელების თხოვნით. პოეტის დიდოსტატობა იყო იმისი მიზეზი, რომ გამოგონებმა ამავა აგობა სინამდვილეს. მელას შვილების მიმართ ჩადენილი დანაშაულის გამოსახულებად, კორინთელებს, როგორც გადმოგვცემენ, დღევანდლამდე მიაქვთ მათ საფლავზე სულის მოსახსენებელი მსხვერპლი.

გარეკანის პირველ გვერდზე: უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის გერბი და უნგრეთის პეიზაჟები. ფოტო ფერენც ფერეხვარისა (უნგრეთი). მეოთხე გვერდზე: ქიმიის ლაბორატორიაში (პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტი). ფოტო თარხან არჩვადისა.



მარცხნიდან მარჯვნივ: ბავშვთა ექიმი გრ. მხეიძე, ქუთაისის ხილუული წყლების ქარხნის დირექტორი — ქიმიკოსი ნ. ლევიძე და ქუთაისის ხილუული წყლების ქარხნის ინჟინერ-ტექნოლოგი ო. უგრებელიძე. ფოტო ბ. მალაფერინისა

ას-ასი გრაფი ჭამის წინ

სწორად ბავშვს მალა არა აქვს, დედა ცალკე ეხვეწება, ბებიი — ცალკე. პატარა შინიც არ ეკარება საჭმელს. მაგრამ ახლა უმადობასაც მოეძებნა წამალი. ეს გახლავთ სასმელი, რომელიც დაამზადა ქუთაისის უალკოჰოლო ხილუული წყლების ქარხანამ; ამ სასმელს „საბავშვო“ ეწოდება. ქარხნის სპეციალისტთა ჩვეულება: რესპუბლიკის დამსახურებულმა ექიმმა გრ. მხეიძემ, ქარხნის დირექტორმა, ქიმიკოსმა ნ. ლევიძემ და ინჟინერ-ტექნოლოგმა ო. უგრებელიძემ ხუთი წლის ცდებისა და დაკვირვებების შედეგად უმადო ბავშვებისათვის შეიმუშავეს ეს შესანიშნავი სასმელი. გარდა მედიკამენტებისა, სასმელი „საბავშვო“ შეიცავს ალუბლის წვეს, რაც მეტად სასიამოვნო გემოს აძლევს მას. სამიდან შვიდ წლამდე ასაკის ბავშვებმა იგი უნდა დალიონ ჭამის წინ დღეში 3-4 ჭერ, ას-ასი გრაფი. 3-4 დღის შემდეგ მათ მალა მოსდით და ისინი ძალდაუტანებლად იწყებენ ჭამას. სასმელი „საბავშვო“ გასული წლის ნოემბერში წარდგენილი იყო საკავშირო დეგუსტაციაზე მოსკოვში, სადაც მალა შეფასება მიიღო და მოწონებულ იქნა მთელს საბჭოთა კავშირში გასავრცელებლად.

ლ. სისაური

რედაქტორი გ. ნატროშვილი. | სარედაქციო კოლეგია: ი. გვიგენიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი, პ.მგ. მდივანი თ. გოგოლაძე. | ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საბ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოღია. ტექნოლოგი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის 9-54-88, პ.მგ. მდივნის—9-82-69, განყოფილებების—3-28-42, 9-01-39.

რედაქციაში შემოსული მახალები ავტორებს არ უბრუნდებათ. | უასი 30 კაპ. | ИНДЕКС 76056


ხელმოწერილია დასახელებად 4/VIII-67 წ. გამოცე. № 256 ქად. ზომა 70×108¹/₂, 1,5 ქად. ფურც. ნახევდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79 პირობითი ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 35.700. შეკვ. № 2947 უე 06700

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии.

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ღვინის ქ. №14.

დაბა ცაგერი. დაბას ზემოდან
გადმოსცქერიან გვესოს ძველი
ციხე და სატელევიზიო ანძები.

ფოტო თარხან არჩვაძისა



624180

